# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-პარასკევი, 13-14 აგვისტო. 2020 წ. №100 (9026) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## რუსულმა ოკუპაციამ არათუ ვერ შეაშინა საქართველო, არამედ გააორმაგა ნატოსა და ევრო-კავშირში გაწევრების სურვილი




③

### ვულოცავთ!



## ერისა და ქვეყნის საამაყო შვილს...

საქართველოს კულტურის ფონდი ულოცავს მომღერალს, ლოტბარს, კომპოზიტორს, ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებელს, საქართველოს სახალხო არტისტს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ივანე ჯავახიშვილის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ალბერტ შვაიცერის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს საამაყო შვილს, ბატონ **ანზორ ერქომაიშვილს** დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით დღეგრძელობას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**თამაზ შილაკაძე,**
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

## ოპოზიციის „ოლიგარიქული“ ვნებები ⑤

### ცილისმწამებლები



③

## „ზოგი ასე უბერავს“!..



## რამდენად აქტიურობენ ქართველები საკუთარი ბიზნესის წამოწყებისთვის?

⑤

## პირველყოფილი ხანიდან ანტი-კუროზამდე

⑫

### გრაკლიანის გორის არტეფაქტები

## ვაი, ასეთ „ფორმულასა“

⑦










⑥

## 1939 წლის სექტემბრიდან 1945 წლის „დიდ ვალსამდე“!

**მესტიაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების შედეგად დაწესებული შეზღუდვები და სწრაფი რეაგირების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები განიხილეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით, გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სხდომაზე აღინიშნა, რომ პირველი სწრაფი რეაგირების ნაბიჯები საკმაოდ ეფექტიანად გადაიდგა და ვირუსის აფეთქების საფრთხე შეჩერებულია, თუმცა შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ამ დრომდე აღებული 1000 ტესტის პასუხი, რომელიც დღის ბოლოს გახდება ცნობილი.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეფექტიან მუშაობას გადაადგილების შეზღუდვისა და მუნიციპალიტეტში მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების აღსრულების პროცესში. მან ასევე აღნიშნა, რომ მთავრობას კარგად ესმის, რომ შეზღუდვები დისკომფორტს უქმნის, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე სტუმრად ჩასულ ტურისტებს, თუმცა ისიც ყველასთვის ნათელია, რომ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა ყველაზე მაღალი ფასეულობაა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სვანეთიდან საკარანტინო ზონებში 919 მოქალაქე გადაიყვანეს, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით ჯამში საკარანტინო სივრცეებში 7 718 ადამიანი იმყოფება. მთავრობის მეთაურმა შესაბამის უწყებებს დაავალა,



# მზის მეზობელმა, კამკამა სვანეთმა პანდემიისგან თავი ვერ დაიცვა!

მაქსიმალურად უზრუნველყონ საკარანტინო სივრცეების მართვის ეფექტურობა. საბჭო სვანეთში დარჩენილ მოქალაქეებს მიმართავს, თავიანთ საჭიროებებზე დაუკავშირდნენ მთავრობის ერთიან ცხელ ხაზს, ნომერზე — 144, რაზეც შესაბამისი უწყებები მყისიერ რეაგირებას მოახდენენ.

სვანეთის მოსახლეობის სურსათით მომარაგების თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე ისაუბრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა. მინისტრის ინფორმაციით, ქუთაისიდან სვანეთისკენ დღეს დამატებით სხვადასხვა სასურსათო და საყოფაცხოვრებო პროდუქტით დატვირთული რამდენიმე მსხვილი მომწოდებლის მანქანა დაიძრა. ყველა შესაბამისი უწყება მაქსიმალურად მობილიზებულია და საკვებით და სხვა პირველადი მოხმარების ნივთებით რეგიონის მომარაგებას საფრთხე არ ემუქრება.

სხდომაზე ასევე ისაუბრეს მაღალი რისკის შემცველი პროფესიული წრეების მიზნობრივი ტესტირებების პროცესზე. აღინიშნა, რომ ეს პროცესი წარმატებით გრძელდება. და სწორედ მის ფარგლებში გამოვლინდა, ლარსის გამშვებ პუნქტზე მომუშავე შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე თანამშრომლის ინფიცირების ფაქტი. საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ყაზბეგში გამოვლენილი ინფიცირების რამდენიმე ერთეული შემთხვევა მუნიციპალიტეტში შეზღუდვების დაწესების საჭიროებას არ ქმნის,ვინაიდან ადგილზე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სრულად კონტროლდება.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო როგორც მოქალაქეებს, ისე ბიზნესსუბიექტებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ზედმიწევნით შეასრულონ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია, რათა საფრთხის წინაშე არ დადგეს ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე ვირუსთან ბრძოლის პროცესში ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატება.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა საოპერაციო შტაბს დაავალა, მაქსიმალური ყურადღებით და სიფრთხილით მოეკიდოს ვირუსის გავრცელების კუთხით რისკის შემცველ ყველა მიმართულებას, მათ შორის ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ვიზიტორებს. დღევანდელი მონაცემებით, იმ ქვეყნებიდან, რომლებთანაც საქართველომ ნაცვალგების პრინციპით ორმხრივად გახსნა საზღვარი, საქართველოში 751 ტურისტი იმყოფება, ბოლო პერიოდში ქვეყანაში შემოსული საქმიანი ვიზიტორების რაოდენობამ კი 4 ათასს გადააჭარბა. გიორგი გახარიას განცხადებით, საქმიანი მიზნებით განხორციელებული ვიზიტები მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა ნელ-ნელა გაძლიერდეს, თუმცა ამ ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვაც ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა.

საბჭოს წევრებმა ასევე განიხილეს ჯანდაცვის სისტემასა და კლინიკებში არსებული მდგომარეობა, ასევე 112-ზე მოქალაქეების მხრიდან შესული ზარების დინამიკა.

**დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 1278 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 1058 პირი უკვე გამოჯანმრთელდა. უცხოეთიდან სამკურნალოდ საქართველოში გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე. გარდაცვლილია 17 ადამიანი.**

**პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.**

# ქუთაისის ფუნქცია სულ უფრო გაძლიერდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებით, ქუთაისში, საერთაშორისო უნივერსიტეტის გარდა, სხვა პროექტებიც განხორციელდება. მისი თქმით, ქვეყნის განვითარების პროცესში ქუთაისის ფუნქცია სულ უფრო გაძლიერდება.

**„ეს არ არის ბოლო პროექტი ქუთაისისთვის. ქუთაისს თავისი ფუნქცია აქვს, რომელიც უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს. ეს არის საგანმანათლებლო, ტურისტული, ინდუსტრიული, სამედიცინო და ჯანდაცვის მიმართულებები. მერწმუნეთ, ქუთაისს ისტორიულადაც ყოველთვის თავისი განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ქვეყნის განვითარებაში და ეს ფუნქცია სულ უფრო გაძლიერდება“,** — განაცხადა გახარიამ.

ამასთან, გიორგი გახარიას თქმით, ქუთაისი ხდება საუნივერსიტეტო ქალაქი და დარწმუნებული ვარ, კიდევ მეტი მიზიდულობის ძალა ექნება.

**„ყველას კარგად გვესმის, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ მარტო ნიჭი გლობალურ თანამედროვეობაში საკმარისი აღარ არის. ამ ნიჭს სჭირდება მაღალტექნოლოგიური საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, რომელსაც აქ ვხედავთ. ეს არის აუცილებელი პირობა, რომ ხვალინდელ გლობალურ კონკურენციას ჩვენმა შვილებმა გაუძლონ. განათლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ხელისუფლების. ეს არის უაღრესად დიდი პროექტი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით განხორციელდა. მილიარდ ევროზე ორიენტირებული ინიციატივაა, ამას დაემატება ადრონული კოლაიდერი, რომელიც 40 მილიონ დოლარს დაამატებს ამ ინვესტიციას. ეს კოლაიდერი კიდევ დამატებით ფუნქციას შესძენს უნივერსიტეტს. დარწმუნებული ვარ, რომ არა მხოლოდ ქართველები, არამედ რეგიონის ახალგაზრდები და ბევრი უცხოელი ისწავლის აქ. ამ უნივერსიტეტის ნიშა ასევე არის ერთობლივი კურსები მსოფლიოს უნივერსიტეტებთან. ქუთაისი ხდება საუნივერსიტეტო ქალაქი და დარწმუნებული ვარ, ამას კიდევ მეტი მიზიდულობის ძალა ექნება“,** — განაცხადა გახარიამ.



# მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ

**საარჩევნო სიის ნომრით არ განისაზღვრება ის ძალისხმევა, რომლითაც უახლოეს თვეებში ვიბრძოლებ,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საარჩევნო სიასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

**„ჯერ პირველი ათეული ცნობილი არ არის. ზოგიერთებს რომ ეჩქარებათ, ჩვენ ჯერ საქმე გვაქვს გასაკეთებელი და მაგასაც მოვასწრებთ. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ნომერი ვიქნები. მერწმუნეთ, ამით არ არის განსაზღვრული ის ძალისხმევა, რომლითაც მე ვიბრძოლებ ამ გამარჯვებისთვის უახლოესი თვეების განმავლობაში. ამიტომ, პირველი ვიქნები თუ ბოლო ნომერი, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს“,** — განაცხადა პრემიერმა.

# სწავლის დაწყებისა და არჩევნების თარიღების შეცვლისთვის საფუძველი არ არსებობს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას განცხადებით, სწავლის დაწყების გადადებისთვის წინაპირობა არ არსებობს.

**„დღეის მდგომარეობით, არანაირი პირობა, რომ სწავლა გადაიდოს და 15 სექტემბრიდან ბავშვებმა საკლასო ოთახებში არ დაიწყონ განათლების მიღება, არ არსებობს. დღეს ასეთი მოცემულობა არ არსებობს. ასევე, არ არსებობს არანაირი საფუძველი არჩევნების ჩატარების თარიღის ცვლილებაზე სასაუბროდ“...**

ცილისმწამებლები

# „ზოგი ასე უბერავს“!..

**არის „უცნობის“ ასეთი პოპულარული სიმღერა „ზოგი ასე უბერავს“...**

**ამ სიმღერას საფუძვლად ჩვენში არსებული ვითარება უდევს: ყველა, ვის როგორ მოეხასიათება, უბერავს, ზოგი — ასე, ზოგი — ისე...**

**დღეს, წინასაარჩევნოდ, ხომ სულ გადაირია ხალხი.**

ყველაფერი, რაც ხდება, რა თქმა უნდა, ცუდი, ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად, მმართველი პარტიის ბრალია. კი, ბევრი რამ, მართლაც მისი ბრალია, მაგრამ შეიძლება ყველაფერი მას აჰკიდო? ისეთი რამეც კი, რაც „ოცნებას“ არამც და არამც არ სჭირდება, რასაც თვითონ თავგადაკლული ებრძვის?

აი, სამშაბათს პროკურატურამ შაქარაშვილის საქმის გამოძიების შუალედური შედეგები გამოაქვეყნა, პროკურატურის წარმომადგენელი 40 წუთის განმავლობაში მოგვითხრობდა, თუ როგორ მიდის გამოძიება, რომ სავარაუდო მკვლელთა წრე დაპატარავდა, მხოლოდ 5 კაცს წარედგინა წინასწარგანზრახვით ჯგუფურად მკვლელობის ბრალდება.

„ტვ პირველმა“ ამას უმალ შეაგება იურისტების კომენტარები. მათ შორის იყო რესპუბლიკის ყოფილი მთავარი პროკურორი **მურთაზ ზოდელავა**.

და რომ ველოდით, ესოდენ მაღალ თანამდებობაზე ნამუშევარი, იურისტი კაცი ეკრანს მიჩერებულ ათიათასობით ტელემაყურებელს მცოდნედ, გასაგებად აუხსნიდა მოწვდილი ამბის ნიუანსებს, გასაკრიტიკებელს გააკრიტიკებდა და საქებარს შეაქებდა, გამოვარდა ეკრანზე განრისხებული, შუბლშეკრული და გვიყვირა, მთავარზე რატომ არაფერს ამბობენ, მაგ ტრაგედიის ორგანიზატორსა და მოთავეზეო. ყველაფერი ზემოდან არის მოწყობილი და შეკრულიო. ეს „ზემოდან“ კი თურმე აშკარად ხელისუფლება და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილია. ზოდელავას თქმით ხელისუფლება ხელს აფარებს დამნაშავეებს, ხელს უშლის გამოძიებას სიმართლის დადგენაში, რადგან თურმე თვითონ არის მთავარი დამნაშავე...

ერთი სიტყვით, ნამთავარპროკურორალი კაცი ერთი ბეწო ეჭვსაც არ გამოთქვამდა, არავითარ იურიდიულ არგუმენტს არ იშველიებდა, პირდაპირ ბრალდებებს ისროდა, მხოლოდ „დამაჯერებელი ტონით“ ცდილობდა ხალხის დაჯერებას.

**დიდზე დიდი შეცდომა იყო კანონმდებლობიდან ცილისწამების შესახებ მუხლის ამოღება. ისე რომ ყოფილიყო, უფალი ზოდელავა იმდენს ვერ გაბედავდა, პასუხისმგებლობისა შეეშინდებოდა.**

ახლა კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ „ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს“.

თუ გიორგი ვაშაძე არჩევნებში ფაქტობრივად ერთპიროვნულ გამარჯვებას და, პარლამენტში გამარჯვება იქით იყოს, სულაც პრემიერ-მინისტად „არჩევას“ გეგმავს, სწორედ რომ საკვირველი იქნებოდა ამჟამინდელ მაჟორიტარ დეპუტატს კახა ოქრიაშვილს და ბიზნესმენ ძმებს ცეზარ და ლაშა ჩოჩელებს პარტია არ შეექმნათ და პოლიტიკურ ველზე არ გაეჭენებინათ. შვეს პარტია „პროგრესი და თავისუფლება“ და უკვე აკურთხებინეს კიდეც საარჩევნო სუბიექტად.

საერთოდ ჩვენში, სადაც ცაში ვარსკვლავებივით მირიადი პარტიაა, სახელწოდების მოგონება



ჭირს, თორემ პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება იოლი რამ არის: შეიკრიბება 3-5 კაცი, შეარჩევს სახელწოდებას და ცოფიანივით ეკვეთება მმართველ პარტიას... ეს არის და ეს!

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ დმანისის მერია, რომელიც მთლიანად ამ კახა ოქრიაშვილის კადრებით არის დაკომპლექტებული, მისი, როგორც ახალი პარლამენტის დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო პიარში აქტიურად არის ჩაბმული. ისე აქტიურად, რომ „ქართულ ოცნებას“ ამ რაიონში ფაქტობრივად უდასაყრდენოდ ტოვებდნენ. „ქართულმა ოცნებამ“ დმანისის მერი და პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ტატუაშვილი კონკურენტი კანდიდატის საარჩევნო კომპანიის მხარდაჭერის, პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევის გამო, პარტიიდან გარიცხა.

ერთი სიტყვით, ასეთი ქვეგამხედვარები, როგორც სხვებს, „ქართულ ოცნებასაც“ ჰყოლია. თუმცა ამ პარტიას ჩვენი შესაცოდი არაფერი სჭირს, თვითონ მიხედავს საქმეს!..

**სანდრო ალექსიძე**

# რუსულმა ოკუპაციამ არათუ ვერ შეაშინა საქართველო, არამედ გააორმაგა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების სურვილი

**„12 წლის წინ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ არათუ ვერ შეაშინა ჩვენი ქვეყანა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა ნატოსა და ევროკავშირში ქართველების გაწევრიანების სურვილი და, უფრო მეტიც, დააჩქარა თავად გაწევრიანების პროცესი,** — ამის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩმა დავით ბაქრაძემ ამერიკული გამოცემისთვის „Foreign Policy“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, **ოკუპაციიდან 12 წლისთავზე, კონფლიქტის მოგვარების კუთხით არანაირი პროგრესი არ არის მიღწეული. რუსეთი კვლავ უარს ამბობს თავისი ვალდებულებების შესრულებაზე და მცოცავი ანექსიის პოლიტიკას განაგრძობს, მათ შორის, რუსეთის ფედერალურ სტრუქტურებში ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ინსტიტუტების ინტეგრირებისა და ქართული ისტორიული თუ კულტურული კვალის წაშლის გზით.**

ამერიკული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში, **ელჩმა რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენზეც გაამახვილა ყურადღება. დავით ბაქრაძის თქმით, წლების განმავლობაში ჰიბრიდული ომი რუსული ძალაუფლების მთავარი ელემენტს წარმოადგენდა. ოკუპანტი სახელმწიფოს ხელში მძლავრ შემტევი იარაღის როლს ასრულებს ასევე პროპაგანდა და დეზინფორმაციის კამპანია. „დღესდღეობით, როდესაც მთელი მსოფლიოს ძალისხმევა კოვიდ-19-ის პანდემიის შეჩერებისკენაა მიმართული, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციების განხორციელების არც ერთ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და სამედიცინო ევაკუაციაზეც კი უარს ეუბნება მშვიდობიან მოქალაქეებს,** — აცხადებს აშშ-ში საქართველოს ელჩი.

დავით ბაქრაძის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული სახელმწიფოების არაერთგზის მოწოდებების მიუხედავად, რუსეთს არათუ არ გაჰყავს თავისი შეიარაღებული ძალები აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონებიდან, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს უკანონო მილიტარიზაციას. ასევე უმძიმესი და საგანგაშოა ჰუმანიტარული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც სულ უფრო ღრმავდება დეპოპულაცია. როგორც ბაქრაძე აღნიშნავს, ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ადამიანის უფლებების კუთხით შექმნილი უმძიმესი პირობების გამო ოკუპაციამდელ პერიოდთან შედარებით, 4-5-ჯერ არის შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა ოკუპირებულ რეგიონებში.




**აშშ-ში საქართველოს ელჩი მიიჩნევს, რომ რუსეთიდან მომდინარე წნეხთან გასამკლავებლად, საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, ნატოსა და ევროკავშირის მხარდაჭერა სჭირდება. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ საქართველოში დღითი დღე ძლიერდება სწრაფვა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ.**

ვაი სირცხვილო!!!

# ვის შევჩივლო, მთავრობის გარდა?!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველი ახალი ნომრის მიღება, გულწრფელად ვამბობ, დიდად მახარებს. მაგრამ გულს მიკლავს და მოსვენებას არ მაძლევს ის გარემოება, რომ საუკუნეს გადაცილებულ ეროვნულ გაზეთს საკუთარი ბინა არა აქვს. ამ წერილის დაწერას ვაპირებდი, როცა თვალი შევავლე გაზეთის ახალ მისამართს და დიდად გავიხარე... ვრეკავ რედაქციაში ახალმოსახლეობის მისალოცად, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩამივარდა. როდაქციიდან მპასუხობენ, ამ ახალ მისამართზეც ჩვენ ისევ მდგმურები ვართო... ძალიან მეწყინა, მართალია, საწრაფოს გამოძახება არ დამჭირვებია, მაგრამ ვალიდოლის მიღებას ვერ გადავურჩი... ამ პრობლემის შესახებ მე სამი წლის წინათაც ვწერდი, მაგრამ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ეს საკითხი არ აღელვებთ და მიზანშეწინილად არ მიაჩნიათ მისი დადებითად გადაწყვეტა... ეს კი, უბრალოდ რომ ვთქვათ, დიდი სირცხვილია...

აშშ-ის მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი ამბობდა: „ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ... მთავრობა თუ გაზეთი? უყოყმანოდ მეორეს ავირჩევდი.“ რა საგულისხმო არჩევანია, კომენტარსაც კი არ საჭიროებს...

ეს გაზეთი, ერის პოლიტიკურ გაერთიანებას არა მარტო მხარს უჭერს, არამედ მის სათავეებთან დგას და აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში. იგი ყველაფერს აკეთებს საამისოდ.

ამ და ქვეყნის სხვა სასიცოცხლო პრობლემურ საკითხებს, ისე ეფექტიანად არავინ არ ეხმიანება, როგორც „საქართველოს რესპუბლიკა“. მიზაშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნია გადაუჭარბებლად აღინიშნოს, რომ ეს ჩვენი მშობლიური გაზეთი საუკუნეზე მეტია, ერთგულად და უმწიკვლოდ ემსახურება ერის გადარჩენას და აღორძინებას. „ერი, ნამყო, აწმყო და მყობადია, მარადისობაა.“ დიახ, ამ მარადისობას გმირულად მხარს უჭერს და მზის სხივებივით აცისკროვნებს ჩვენი მთავარი გაზეთი. მშობელივით უვლის ყველაფერს იმას, რაც გვიყვარს, რაც ქართულია. ეს გაზეთი ყოველთვის მოსახლეობის ფართო ინტერესებს გამოხატავს, ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, იგი სახალხო გაზეთია. აღსანიშნავია, რომ გაზეთმა თავის დროშაზე თამამად და გაბედულად წააწერა დიდი ილია ჭავჭავაძის გენიალური და უკვდავი სიტყვები: „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.“ ამ საპროგრამო სიტყვებიდან და ჭეშმარიტებიდან ჩვენს მშობლიურ გაზეთს არასდროს გადაუხვევია და უღალატია. გავკადნიერდები და კიდევ ერთხელ, ხმამაღლა ვიტყვი: დიახ, ეს გაზეთი შესანატრი ერთგულებით ემსახურება თავის მშობელ ხალხს და ქვეყანას. იგი, ნურავინ მიწყენს და, მართლაც ყველაზე საუკეთესო გაზეთია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დღეს მას ფინანსურად ძალიან უჭირს... რაც უმთავრესია — საკუთარი ჭერიც კი არ გააჩნია. სამწუხაროდ, იგი საკუთარ ქვეყანაში დაყაჩაღებული და ავაზაკი და მავნებელი სააკაშვილის მიერ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოძევებულია! ყოველივე ეს, მართლაც რა უბედურებაა...

ერო და ბერო, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე!..გაზეთს ჩვენი სამშობლოს სახელი კი ჰქვია, მაგრამ მთავრობისა და ძლიერთა ამა ქვეყნისა ყურადღება მის მიმართ დღეს ნულის ტოლია!

ჩემი ადრინდელი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგად ვიცი, რომელ ინსტიტუტებს და დაწესებულებებს რა ჭარბი ფართები გააჩნიათ. მაგრამ არასაკმარისი პატრიოტული და სახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგია, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ დღემდე საკუთარი ბინა არ გააჩნია და მომთაბარე ცხოვრებას ეწევა.

მე როგორც რიგითი ქართველი, უდიდესი პატივისცემით ვთხოვ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ თავისი მზრუნველი კალთა გადააფაროს საუკუნე გადაცილებულ ეროვნულ გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“ და დადებითად გადაწყვიტოს მისი ფინანსური და საბინაო-საოფისე პრობლემები. ეს იქნება ერთი დიდი საშვილიშვილო საქმე, რომელიც სამარადისოდ დაამშვენებს მის დიდ მამულიშვილობას და ქველმოქმედებას.

ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი მფარველი, ამინ!

**დიდი პატივისცემით,**

**გულთაზ ლაბარტყავა,**

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ფოთის საპატიო მოქალაქე.**

**ტელ.599454045.**

**დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და მოსახლეობას დიდგორობა მოულოცა.**

როგორც მან აღნიშნა, 12 აგვისტო ქართველი ერის სიძლიერის და მტერზე გამარჯვების სიმბოლოა.

**„ქვეყნის ისტორიაში არსებობს თარიღი, რომელიც მთლიანად გადასწონის ყველა განვლილ განსაცდელს, სირთულეს, ტრაგედიას. სწორედ ასეთი თარიღია 12 აგვისტო. დღეს დიდგორობაა და მინდა, სრულიად საქართველოს მივულოცო ჩვენი პატარა ერის სიძლიერის, გამარჯვების სიმბოლო. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გონიერებით, სწავლით, კიდევ ბევრჯერ ვიზეიმებთ გამარჯვებას“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მეტროსადგურებზე — „გოცირიძე“, „ვარკეთილი“ და „ავლაბარი“ სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, ხოლო დამატებით ათ სადგურზე, ასევე, მასშტაბური სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება.**

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის მასშტაბით, გონიერი („ჭკვიანი“) სატრანსპორტო სისტემა დაინერგება, რომლის შემადგენელი შუქნიშნები, კამერები და მაკონტროლებლები ნაკადების ერთიანი მართვის ცენტრს დაუკავშირდება.

**„სატრანსპორტო პოლიტიკის ჭრილში ვმუშაობთ ყველა მიმართულებით: ეს არის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ავტობუსების განახლების პროექტი, ასევე, მიკროავტობუსებზე გვაქვს გამოცხადებული ტენდერი, რათა მოხდეს მათი ჩანაცვლება-განახლება და წლის ბოლომდე არსებული ე.წ. ყვითელი ავტობუსების პარკი მთლიანად განახლებული იქნება. ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით: ვაპირებთ, კიდევ ჩამოვიყვანოთ ავტობუსების დამატებითი რაოდენობა. პარალელურად, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწყობა, საავტობუსე ზოლების გაჩენა ქალაქში, რათა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეძლოს მგზავრების გადაყვანა“,** — აღნიშნა თბილისის მერმა.




# თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შესანატრი მონდომებით მუშაობს

მისივე თქმით, „ჭკვიანი“ შუქნიშნების სინქრონიზებული მუშაობა შესაძლებლობას იძლევა, რომ გზებზე საცობების რაოდენობა შემცირდეს, ასევე, შეუფერხებლად გადაადგილდნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო მომსახურების ავტომობილები.

დედაქალაქის მერმა თბილისის ზღვის აუზისა და მიმდებარე ტერიტორიის მასშტაბური ჰიდროლოგიური კვლევის შესახებაც ისაუბრა, რომლის ჩატარების მიზანი თბილისის ზღვის სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრა იყო. თბილისელებს უნდა ახსოვდეთ, რომ დედაქალაქის წყალმომარაგების ერთი მესამედი თბილისის ზღვაზე მოდის.

წყალმომარაგებას უზრუნველყოფს კერძო კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, რომელთან შეთანხმებითაც, სამართლებრივი აქტის პროექტი მომზადდა, რომელიც საკრებულოს გადაეგზავნება დასამტკიცებლად და აღნიშნული შეზღუდვები უკვე გახდება სავალდებულო ყველასთვის, ვინც თბილისის ზღვის მიმდებარედ რაიმე აქტივობის განხორციელებას დაგეგმავს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მსგავსი რეგულაცია თბილისს არასდროს ჰქონია, თბილისის ზღვაზე ქაოტურად ხდებოდა განაშენიანებაც და გარკვეული პროექტების განხორციელებაც, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა და დაბინძურებაც ხდებოდა. ჩვენი ეს ინიციატივა, მიმართულია მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, თბილისის მერის თქმით, პეკინის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე საინფორმაციო ჯიხურები განთავსდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ავტომობილების დარეგისტრირებას შეძლებს.

მისი თქმით, ზონალურ-საათობრივი პარკირება კოტე აფხაზის ქუჩაზე, ორბელიანის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე უკვე მოქმედებს, 10 სექტემბრიდან კი პეკინის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე ანალოგიური სისტემა შევა ძალაში.

ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი ავტომობილები საცხოვრებელი ზონების მიხედვით უნდა დაარეგისტრიროს იმისთვის, რომ პარკირების სისტემით უფასოდ ისარგებლონ.

**„პარკირების საფასური ელექტრომობილების მფლობელებისა და შშმ პირებისთვისაც უფასო იქნება. სტუმრად მისული ადამიანები კი თანხას გადაიხდიან. ყველა რაიონში ანალოგიური მიდგომა იქნება, მაგრამ რაიონების, უბნებისა და ქუჩების მიხედვით, განსხვავებული ტარიფი დაწესდება“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა, რომელიც მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან საბურთალოს რაიონში ამოქმედდება, რამდენიმე გამზირსა და ქუჩას მოიცავს.

# ბაკურიანში, გუდაურსა და აბასთუმანში უწყვეტი წყალმომარაგება იქნება



**ბაკურიანში ზამთრის სეზონზე სტაბილური წყალმომარაგებით უზრუნველყოფისა და წყლის დებიტის გაზრდის მიზნით, ორი პროექტით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს. ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.**

უკვე შესრულებულ სამუშაოებს და კურორტზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი და წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია.

— ბაკურიანში ჩვენ გვყავს ორი კონტრაქტორი, რომლებსაც სხვადასხვა ფუნქციური დავალება აქვს. ეს არის ჭაბურღილების დამატება — დაახლოებით 5 ჭაბურღილს ვამატებთ, ხოლო მეორე კონტრაქტორი ძველი სათავე ნაგებობების რეაბილიტაციასა და ახლის მშენებლობას ახორციელებს. ასევე, ზემოთ მდებარე ხევებიდან ამ სათავე ნაგებობაში იკრიბება წყალი, რომელიც აქამდე იკარგებოდა. სამუშაოებს დაახლოებით ოქტომბერში დავასრულებთ, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დღეს არსებული დებიტი, რაც გვაქვს ბაკურიანში, იმის გათვალისწინებით, რომ აქ მიმდინარეობს აქტიური განაშენიანება და გათოვლიანების დამატებითი სისტემები მონტაჟდება, ეს პროექტები მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სრულად უზრუნველვყოთ კურორტის მოთხოვნები. ანალოგიური სამუშაოები გვაქვს გუდაურში, სადაც ორი კონტრაქტორი გვყავს და იქაც ვამატებთ ჭაბურღილებს. ასევე, ხორციელდება ძველი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, დამატებით გვაქვს ხელოვნური ტბა და ჯამში ეს ყველაფერი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ გუდაურში სასტუმროები და ასევე, ხელოვნური გათოვლიანება სრულად იქნება უზრუნველყოფილი წყალმომარაგებით. საკურორტო ზონებში სწრაფად იზრდება განაშენიანება, ემატება სასტუმროები, კომერციული ობიექტები, იზრდება დამსვენებელთა რაოდენობა, რაც მოითხოვს უფრო მეტი წყლის მოხმარებას. შესაბამისად, საჭიროა დღეს არსებული წყლის სისტემა უფრო მეტად გამართული იყოს და მეტი რესურსი ჰქონდეს, რომ ამ მზარდ მოთხოვნას გაუძლოს — განაცხადა ილია ბეგიაშვილმა ბაკურიანში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ.

ამ დროისთვის, ბაკურიანს წყალი უწყვეტად მიეწოდება. თუმცა, მშრალმა კლიმატმა, ინფრასტრუქტურული ობიექტების, დამსვენებლებისა და ტურისტების მკვეთრმა ზრდამ გასული ზამთრის სეზონზე წყლის დებიტის სიმცირე გამოიწვია და კურორტს წყალმომარაგების მიწოდება შეუზღუდა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ამ დროისთვის, წყალმომარაგება-წყალარინების 5 მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს: აბასთუმნის წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა (II ეტაპი) და არაზინდოს დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ასევე, კურორტ აბასთუმნის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების პროექტირება-მშენებლობა. ქალაქ ვალეს და დაბა ადიგენის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. პროექტების ჯამური ღირებულება — 23,018,818 ლარია.

# პანდემიას ოქროს ციებ-ცხელება მოჰყვა...

**ძვირფასი ლითონები გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საგრძნობლად ძვირდება. გასაკვირი არ არის, რომ ოქრო ამ შემთხვევაში ყველაზე მოთხოვნადია და მისი ღირებულება უკვე 2000 დოლარსაც კი მიუხლოვდა. ამ ნიშნულის სიახლოვეს ოქროს ფასი ბოლო 2011 წლის ზაფხულში იყო, მას შემდეგ კი ფასი მუდმივად იკლებდა ან სტაბილურობას ინარჩუნებდა.**

ბოლო დღეებში ერთი უნცია ოქროს ფასმა 1930 დოლარს გადააჭარბა. ეს ნიშნავს, რომ ბოლო 1 თვის განმავლობაში ოქრო 8.5%-ით გაძვირდა. საერთაშორისო ანალიტიკოსების შეფასებით, ძვირფასი ლითონის გაძვირება გლობალურად გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, ინვესტორთა მხრიდან გაზრდილ მოთხოვნას უკავშირდება. **„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, 2020 წლის სექტემბრისთვის 1 უნცია (31.1 გრამი) ოქროს ფასმა შესაძლოა, 2000 დოლარსაც კი გადააჭარბოს.**

ამ ფონზე, მკვეთრად გაიზარდა მათი აქტივები, ვინც საკუთარი ქონების ნაწილს ოქროს სახით ინახავს. მათ შორის არიან სახელმწიფოებიც, რომელთა ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების გარკვეული ნაწილიც ოქროს სახით არის ნომინირებული. საქართველოს საერთაშორისო რეზერვებში ოქრო საერთოდ არ შედის, თუმცა 60-მდე სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკში მნიშვნელოვანი მოცულობის ოქროს რეზერვებია.

**მსოფლიოში უდიდესი ოქროს რეზერვი ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს, რომლის ფედერალური სისტემის უცხოური რეზერვების ღირებულების 74.9% ოქროს სახით არის დაცული. 1000 ტონაზე მეტი ოქროს რეზერვი მხოლოდ 7 სახელმწიფოს აქვს.**

საერთაშორისო კვლევებისა და პროგნოზირების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი **ნიკა შენგელია** ამბობს, რომ ბაზარზე ოქროს ფასის ზრდა განპირობებულია გაურკვევლობით, რომელსაც კორონავირუსის პანდემია ქმნის. ამ დროს ადამიანები ცდილობენ, კაპიტალი ყველაზე ლიკვიდურ აქტივში დააბანდონ.

**მაინც რატომ ძვირდება ოქრო? პირველ რიგში, ამას ხელს აშშ-ს და ჩინეთს შორის ურთიერთობების გაუარესება, დოლარის დასუსტება და ეკონომიკური ზრდის სრულიად გაურკვეველი პერსპექტივები უწყობს. არც ერთ საკითხში ვითარება არ უმჯობესდება, ამიტომაც მომგებიან მდგომარეობაში ისინი იქნებიან, ვინც ოქროს გაძვირებაზე თამაშობს.**

ამ ეტაპზე ყველაზე მოთხოვნადი ძვირფასი საერთაშორისო ფასი რეკორდს უახლოვდება, სავარაუდოდ, დიდი მოგების მიღების მიზნით, დაიწყება მისი მასობრივი გაყიდვაც, ამან კი შესაძლოა ბაზარზე ჭარბი მიწოდება წარმოქმნას, რაც ბუნებრივად ფასების ვარდნით დასრულდება.

როგორც წესი, დაბალი პროცენტი ინვესტორებს აფრთხობს და ისინი სხვა უფრო მომგებიანი აქტივების ძებნას იწყებენ და პირიქით მაღალი საპროცენტო განაკვეთი მაღალ მოგებას ნიშნავს, შესაბამისად, სხვა აქტივების ძიება ნაკლებად აქტუალური ხდება. თუ ფედერალური რეზერვი პირველი გზით წავა, ოქრო შესაძლოა 2000 დოლარამდეც კი გაძვირდეს.

**ბექა დანელია**

# ოპოზიციის „ოლიგარიქული“ ვნებები

**ახლახან ინგლისის დედოფალმა ელიზაბეტ II-მ პერის სამუდამო წოდება მიანიჭა მედია მაგნატს და ოპონენტების მიერ „ოლიგარქად“ შერაცხილ ევგენი ლებედევს. მისი მამა, ასევე ოლიგარქად ცნობილი ალექსანდრე ლებედევი, ბრიტანული The Independent-ის და რუსული ლიბერალური ორიენტაციის „Novaya Gazeta“-ს თანამფლობელია.**



ამ გადაწყვეტილებამ ამერიკელ „ნეოკონებში“ ისტერია გამოიწვია, რადგანაც მათთვის „რუსი ოლიგარქი“ უკვე იგივე გახდა რაც ხარისთვის წითელი ნაჭერი. 2016 წლიდან მოყოლებული რაც ამერიკულ პოლიტისტებლიშმენტში გამყარდა აზრი, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებში ჩაერია და გადაწყვიტა კიდეც მისი ბედი, სანქციების ქვეშ მოექცნენ ოლიგარქებად შერაცხილი რუსეთის მდიდარი ადამიანები, რომლებსაც დასავლეთში პუტინის რეჟიმის მოკავშირეებად მიიჩნევენ.

არაერთი ცნობილი პოლიტტექნოლოგი თვლის, რომ „ოლიგარქის“ მითი 1990-იან წლებში რუსული მედიის ერთი ნაწილის მიერ შეიქმნა, რომელიც ამ იარლიყის კულტივირებით პოლიტიკური მიზნების მიღწევას ცდილობდა. ტურბულენტურ 1990-იან წლებში მინიმასშტაბის ოლიგარქები საქართველოშიც გამოჩნდნენ და თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებით საკმაო გავლენას ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკაზე. სახელისუფლებო სტრუქტურებში მათი გავლენის ინსტრუმენტების მეშვეობით ისინი იოლად ეპატრონებოდნენ მომგებიან სფეროებს. მაგალითად, შეძლებდა კი გავლენიანი სახელისუფლებო წრეებიდან პროტექციონიზმის გარეშე „ბორჯომის ჯგუფის“ დაპატრონებას **მამუკა ხაზარაძე**?!

დღეს ცნება „ოლიგარქი“ უკვე გასცდა მის ენციკლოპედიურ განმარტებას და არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე, უფრო ნეგატიური გაგებით განიხილება. ოლიგარქად მიიჩნევა ადამიანი, რომელსაც აქვს გავლენა და ძალაუფლება მისი ფულის მეშვეობით. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ სწორედ ამაშია „ოლიგარქად“ შერაცხილი პირის პრინციპული განსხვავება იმ ხალხისგან, რომლებმაც დიდძალი ფული სწორედ ხელისუფლებაში ყოფნის წყალობით იშოვეს. მკითხველმა განსაჯოს ამ ორიდან რომელი უფრო დესტრუქციული ფენომენია.

პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 1981-2002 წლების აშშ-ის სახელმწიფო პროგრამების ანალიზის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე აშშ-ის პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულიდან ოლიგარქიულად ტრანსფორმირდა. პრინსტონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგიების უმრავლესობა სპეციალურად სწორედ ფინანსური ელიტების ინტერესებს იყო მორგებული.

მას შემდეგ ქართულ ოპოზიციაში საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ქვეყნის შიდა-პოლიტიკურ ველზე **ბიძინა ივანიშვილის** და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდნენ, მათ „ოლიგარქიულ“ კონიუნქტურაზე ააწყვეს თავიანთი პოლიტიკური თამაში. როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ წარმატებას მიაღწევდნენ, თუკი დასავლურ წრეებში ივანიშვილს რუსეთთან დაკავშირებული ოლიგარქის იმიჯს შეუქმნიდნენ.

როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, მისი ბიოგრაფია ყველამ შესანიშნავად იცოდა, მათ შორის აშშ-ის და ევროპის შესაბამის წრეებშიც და, თუ ივანიშვილს პუტინის მოკავშირე ოლიგარქად მიიჩნევდნენ, ეს, ალბათ, ადრე უნდა განეცხადებინათ, თუმცა აქამდე მსგავსი განცხადებები იქიდან არ ისმოდა.

ივანიშვილის რუს ოლიგარქად და პუტინის მოკავშირედ მოხსენიება დასავლელ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფის მიერ საქართველოდან ჩაწოდებული და ლობირებული ინფორმაციის საფუძველზე სწორედ საპარლამენტო არჩევნების წინ გახშირდა, როდესაც ოპოზიციამ სრულად გააცნობიერა, რომ საკუთარ ქვეყანაში ელექტორალური მხარდაჭერის რესურსი შაგრენის ტყავივით ეკუმშება და ერთდაერთ იმედად გარე მხარდაჭერაღა დარჩათ, იმ მოკავშირეებისგან, რომელთა შენარჩუნებაზეც უამრავ რესურსს ხარჯავენ. დასავლეთში კი ბოლო წლებში მომხდარი მოვლენების ფონზე „რუსული ფაქტორით“ მანიპულირება კარგად მუშაობს და ფართო გასავალი აქვს სხვადასხვა გავლენიან წრეებში.

**ზაალ ანჯაფარიძე**

# „დავასრულოთ“ ნაცები!



**ია მეტრეველმა თანამოაზრეებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „დავასრულოთ“ დააფუძნა.**

როგორც პრეზენტაციაზე მეტრეველმა განაცხადა, მათი მიზანი ქვეყანაში „ნაციონალური მოძრაობის დასრულებაა“.

**„ვაგრძელებთ ბრძოლას, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში აი, ამ დიდმა მტერმა, როგორიც არის ნაციონალური მოძრაობა, ჯერ კიდევ არ დაასრულა ბოროტული ქმედებები.**

**ჩვენი ორგანიზაციის სახელი არის, დავასრულოთ ნაცები1. ნაციონალურ მოძრაობას უდიდესი დანაშაულები აქვს ჩადენილი ქვეყნისთვის და მე ვიტყოდი, საქართველოს ისეთი მტერი არ ჰყოლია, როგორიც არის ეს პარტია. სწორედ ეს არის მიზანი, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმის აღსაკვეთად, რაც დღეს ხდება“,** — განაცხადა მეტრეველმა.

# რამაზ საყვარელიძე: ოპოზიცია სახელმწიფოს და პოლიტიკურ პროცესს საფრთხობელად წარმოაჩენს!



**ოპოზიცია სახელმწიფოსგან და პოლიტიკური პროცესისგან საფრთხობელას აკეთებს, რომ ამომრჩეველი სახლში დარჩეს,** — ამის შესახებ ანალიტიკოსმა რამაზ საყვარელიძემ „POSTV“-ის ეთერში განაცხადა.

**„სკიდან ფუტკრის გამოდევნა რომ უნდათ, ბოლს უშვებენ სკაში, ფუტკარი რომ დაფრთხეს და სხვაგან წავიდეს, რადგან ის ბოლი მისთვის უსიამოვნოა, აი ოპოზიცია, საზოგადოებისთვის უსიამოვნოს უშვებს ეთერში, რომ დაფრთხეს საზოგადოება და საარჩევნო ყუთებთან არ მივიდეს“,** — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

მისი თქმით, პიარში ცნობილი ფორმულაა, ტალახს ვინც ისვრის, არც ის უნდა ამომრჩეველს და ვისაც ესროლეს, არც ის, ანუ ორივეს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩნდება.

**„ოპოზიცია და მისი ტელეარხები ტალახის სროლით არიან დაკავებული. შედეგი ის იქნება, რომ ამომრჩეველს არც ერთი ენდომება და არც — მეორე, ესაა მათი მთავარი მიზანი. თუ ეს მოხერხდა და მოქალაქემ გული აიცრუა არა მხოლოდ კონკრეტულ პარტიაზე, არამედ არჩევნებზე და მოსახლეობის დიდი რაოდენობა სახლში დარჩა „ნაციონალური მოძრაობა“, თავის ამომრჩეველს მობილიზებას გაუკეთებს და შანსები გაუთანაბრდება. ოპოზიცია სახელმწიფოსგან და პოლიტიკური პროცესისგან საფრთხობელას აკეთებს, რომ ამომრჩეველი სახლში გაიქცეს, თუ დიდი ნაწილი გაიქცა, ამათ დარჩებათ ბურთი და მოედანი“,** — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

# რამდენად აქტიურობენ ქართველები საკუთარი ბიზნესის წამოწყებისთვის?

**ქართველები საკუთარი საქმიანობის წამოწყების თვალსაზრისით დიდ ინიციტივას არ იჩენენ. მხოლოდ ყოველ მე-8 მოქალაქეს აქვს სურვილი, რომ ბიზნესი ჰქონდეს. მეორე მხრივ კი, მათი მთავარი მიზანი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.**

Noblet Media-სა და Info Sapiens-ის ერთობლივმა კვლევამ გამოკვეთა მომხმარებლების ცხოვრების მიზნებისა და პრიორიტეტების თავისებურებები ექვს სახელმწიფოში: **საქართველოში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვასა და უზბეკეთში.**



კვლევა წარმოადგენს საზოგადოების საშუალო და ზედა-საშუალო ფენის სოციალური, ფინანსური და ეკონომიკური ხედვების, ქცევის, ცხოვრების სტილისა და მედიის გამოყენების შესახებ მონაცემებს.

**კვლევის მიხედვით, სხვა ხუთი ქვეყნის მოქალაქეების მსგავსად, ქართველებიც ყველაზე ხშირად ორიენტირებული არიან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (71%). ამასთან, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართველები და აზერბაიჯანელები შედარებით უფრო მოქნილები არიან: ქართველების 6% და აზერბაიჯანელების 10% მზად არის შემდეგი 10 წლის მანძილზე საკუთარი საქმიანობის სფერო შეიცვალოს. ქართველების 23%-ს სურს გლობალურ კერძო კომპანიაში მუშაობა, 18%-ს — ადგილობრივ დონეზე არასამთავრობო სექტორში, მხოლოდ 13%-ს აქვს საკუთარი ბიზნესის დაწყების სურვილი.**

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორში მუშაობა აღნიშნული ექვსი ქვეყნიდან ყველაზე მეტად ქართველებს (15%) სურთ. ქართველების უმრავლესობა თავისუფალ დროს უმეტესად მეგობრებთან ატარებს, უკრაინელების უმრავლესობას კი ოჯახის შექმნა და ბავშვების ყოლა ურჩევნია.

**„ქართველები გამორჩეული არიან გუნდური სულით: მათ აქვთ გარკვეულ ჯგუფებთან ან იდეებთან ასოცირების, საერთო ხედვების გაზიარების სურვილი. ქართველების მხოლოდ 11%-ს შეუძლია ეკონომიკური და სოციალური თემების შესახებ მოსაზრებების ონლაინ თავისუფლად გამოქვეყნება, მოქალაქეების ნახევარი კი ქვეყნის მომავლის შესახებ ოჯახსა და მეგობრებთან მსჯელობს.**

**უნდა აღინიშნოს, რომ მეგობრებზე ორიენტირებული ბუნების მიუხედავად, ოჯახს ყველაზე დიდი გავლენა აქვს საქართველოს მოქალაქეების მოსაზრების ჩამოყალიბებაზე (58%). ქართველები მზად არიან, მტკიცედ დაიცვან მოსაზრება, რომელიც მათ ღირებულებებს ასახავს. შესაბამისად, კომპანიებმა ქართველები უნდა აღიქვან ეფექტიან გუნდურ მოთამაშეებად და ამავე დროს, კორპორაციულ ცხოვრებაში ამ ადამიანების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, დეტალურად გააცნონ კომპანიის ხედვა და მისია“,** — აღნიშნულია კვლევის ავტორების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეები ნაკლებად ფიქრობენ საკუთარი ბიზნესის წამოწყებაზე, არადა საერთაშორისო შემფასებლები ირწმუნებიან, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი მოწინავეა ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით. ამას ოფიციალური კვლევაც ადასტურებს.

**ბიზნესის კეთების სიმარტივის („დუინგ ბიზნეს“) 2020 წლის რეიტინგში საქართველო მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მეშვიდე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, საქართველოს რეიტინგი ერთი პოზიციით გაუარესდა, მაგრამ საერთო ფონზე ეს არაფერს ცვლის, მით უფრო, რომ 2020 წლის ანგარიშში საქართველო შეფასებულია 83,7 ქულით. ეს მაჩვენებელი კი წინა წელთან შედარებით, 0,2 ქულით გაუმჯობესდა.**

რეიტინგის შედგენა 10 ინდიკატორის მიხედვით ხდება. აქედან საქართველოს ხუთ ინდიკატორში ქულების მატება აქვს, ხუთი ინდიკატორის ქულა კი უცვლელი დარჩა. საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოს ბიზნესის დაწყების სიმარტივის კუთხით აქვს. ამ მხრივ ქვეყანა მსოფლიოში მეორე ადგილზეა და მას მხოლოდ ახალი ზელანდია უსწრებს, ხოლო მეხუთე ადგილზეა საკუთრების რეგისტრაციის ინდიკატორით.

მსოფლიო ბანკის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ მშენებლობის ნებართვების მხრივ გააუმჯობესა მშენებლობის ხარისხის კონტროლი ინფორმაციის საჯაროობის გაზრდით.

**რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში სომხეთი 47-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი — 34-ზე, თურქეთი — 33-ზე, რუსეთი — 28-ზე.**

**ბექა დანელია.**



# 1939 წლის სექტემბრიდან 1945 წლის „დიდ ვალსამდე“!

## ცეცილიენჰოფის გამოფენის თაობაზე

**კაცობრიობისთვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა სამ კონფერენციას – თეირანის, იალტის, პოტსდამის, რომელთა მოთავე იყო სსრკ და მისი ხელმძღვანელი იოსებ სტალინი. სამივე კონფერენცია მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება იდეოლოგიურად და გეოპოლიტიკურად ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მომართული ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიო და საკუთარი ხალხების საკეთილდღეოდ.**



პოტსდამის კონფერენცია, რომელიც 1945 წლის ივლისში გაიმართა, ფაშიზმზე გამარჯვების, ანტიჰუმანური იდეოლოგიის დასამარების დამაგვირგვინებელი აქტი იყო. 75 წელი გავიდა ამ ისტორიული კონფერენციიდან, რომელმაც მსოფლიოში მშვიდობა, ახალი წესრიგი დაამყარა. პოტსდამმა დაიხსნა მსოფლიო მომავალში, მეორე მსოფლიო ომის მსგავსი დიდი ომისგან, ათეული მილიონობით ადამიანთა მსხვერპლისგან.

მიუხედავად ადგილობრივი, სამხარეო ომებისა, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი პოტსდამის კონფერენციიდან დღემდე, მსოფლიოს წინაშე არ დამდგარა მესამე ომის – გლობალურის და გამანადგურებლის გაჩაღების აუცილებლობა. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის თავგახურებული ლიდერის ავადმყოფურმა ამბიციებმა ლამის მესამე მსოფლიო ომის ზღურბლამდე მიიყვანა კაცობრიობა, მაგრამ საბოლოოდ საღი, პრაგმატული აზროვნების შედეგმა მსუყე წერტილი დაუსვა დაავადებულ ტვინთა თვითმოქმედებას.

ისტორიისთვის 75 მნიშვნელოვანი წელი არც ხანგრძლივია და არც მოკლე, მაგრამ 1945 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენებისთვის 75 მშვიდობიანი წელი საუკუნეებს უდრის. 1945-დან მოყოლებული, კაცობრიობამ შეძლო მასობრივი განადგურების ისეთი სახის იარაღების შექმნა, როგორებიცაა ატომური, წყალბადის, ნეიტრონის; გაიჭრა კოსმოსში, მთვარეზე დასვა ასტრონავტი; კოსმოსიდან დედამიწას დაემუქრა სამხედრო ძალის გამოყენებით; არაბირთვული იარაღი იმ დონემდე დახვეწა, თავისი დამანგრეველი ძალით, რომ ბირთვულს უტოლდება.

ყოველივე ეს ომის გაჩაღებისა და მისი გამჩაღებლის სასარგებლოდ დამთავრების ცდუნებას აჩენდა, მაგრამ აქაც პოტსდამმა იძალა, უფრო ზუსტად იქ შექმნილმა მსოფლიო წესრიგმა, იალტა-პოტსდამმა გადაწყვიტა მსოფლიო ორგანიზაციის შექმნაც გაეროსა და მისი უშიშროების საბჭოს სახით. ის, რომ ამ კონფერენციების, განსაკუთრებით იალტისა და პოტსდამის მნიშვნელობა მაშინდელი, დღევანდელი, ხვალინდელი მსოფლიოსთვის ფასდაუდებელია, მტკიცება არ სჭირდება. მტკიცება არ სჭირდება იმასაც, რომ იქ შემუშავებული გადაწყვეტილებების სულისჩამდგმელი იოსებ სტალინი იყო.

გავიდა ხანი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებმა ისე, როგორც იმჟამინდელებმა სააქაო ცხოვრებიდან საიქიოში გადაინაცვლეს. გახშირდა ლაპარაკი აღნიშნულ კონფერენციათა „ვარგისიანობის“ თაობაზე. დასავლელ მეცნიერთა ნაწილს, ისე, როგორც პოლიტიკოსებს იალტა-პოტსდამის კონფერენციების შედეგები არ ასვენებთ. არადა, ამის შემსწრე იმჟამინდელები რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ, დღევანდელთა ნათქვამი ასეთი ძალით არ მოგვეხვეოდა თავს.

ანტიპოტსდამურმა რიტორიკამ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყო გაფურჩქვნა, რასაც არცთუ უმნიშვნელო დახმარება გაუწია გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა „პერესტროიკამ“.

სსრკ-ის კომპარტიის მაღალ ეშელონებში დაწყებულმა ანტისაბჭოურმა დუღილმა, ძველის თავაღებულმა ლანძღვა-გინებამ, დაპირისპირებამ, არა მარტო პარტიაში, არამედ კომპარტიასა და მოძმე სოციალისტური ბანაკის პარტიებს შორის, წყალი შეუყენა, საბოლოო ჯამში დაანგრია კაცობრიობის ისტორიაში არნახული სიდიდის იმპერია – სოციალისტურად წოდებული!

ციხე შიგნიდან გატყდა, ცხადია გარე ძალთა აქტიური, თანმიმდევრული, დივერსიული მეცადინეობის წყალობით. დამანგრეველმა, ნობელის პრემია დაისაკუთრა. მსოფლიო მშვიდობის მომტანმა, ფაშიზმის გამანადგურებელმა – დიქტატორის და ტირანის ტიტული. ასეთ შეფასებას აძლევენ მას გერმანელი ისტორიკოსები. მაგრამ რას ველით მათგან, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საჯაროდ აცხადებს მისი ტირანობის შესახებ?

„ის ხომ ტირანი იყო“, – უპასუხა მან ჟურნალისტის შეკითხვას. ასე რომ რუსეთის ხელისუფალთ არ უნდა გაუკვირდეთ დასავლელთა მიერ განვლილი 75 წლის ახლებური ახსნა-განმარტება, განსაკუთრებით იალტა-პოტსდამის შედეგებისა...

ეს შეფასებები, ცხადია ისტორიის დამახინჯებით, კიდევ ერთხელ გაისმა პოტსდამის ისტორიული კონფერენციის აღსანიშნავ გამოფენაზე, რომელიც პოტსდამის ცეცილიენჰოფის სასახლეში გაიხსნა და მნახველის გულისყურს ა.წ. დეკემბრის ბოლომდე დააკმაყოფილებს.

დიახ! დააკმაყოფილებს ისე, როგორც ეს სურს გერმანელ ისტორიკოსებს და არა ისტორიულ ჭეშმარიტებას.

აღნიშნულ გამოფენაში რუსეთსაც უნდა მიეღო მონაწილეობა და გამოფენისთვის სტალინის კიტელი, სხვადასხვა დასახელების 40-ზე მეტი ნივთი, მათ შორის დოკუმენტები გაეგზავნა, მაგრამ როდესაც რუსი ისტორიკოსები და ექსპერტები გაეცნენ აუდიო-გიდის ტექსტებს, გერმანელ მეცნიერთა დამოკიდებულებას – ცალმხრივს და არასწორს, 75 წლის წინანდელ ისტორიასთან დაკავშირებით, პოტსდამში გასაგზავნ ნივთებზე უარი განაცხადეს.

უთანხმოება გამოიწვია სტალინის პიროვნებამ. გერმანელი მკვლევარები მას მიიჩნევენ ტირანად და ჰიტლერთან ერთად ერთ სიბრტყეზე აყენებენ. მათი განცხადებით, მეორე მსოფლიო ომში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი საშინელი და აუტანელი ტოტალიტარული ქვეყანა, რომელთაგან ერთი 1945 წელს გასრისეს, მეორე – გასული საუკუნის 90-იან წლებში.

გერმანელი ისე, როგორც ევროპელი და ამერიკელი ისტორიკოსები უარყოფენ სსრკ-ის გადამჭრელ როლს გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებაში. მართალია, ისინი არ ივიწყებენ წითელი არმიის მნიშვნელობას, მაგრამ მას კოალიციის არმიასთან ერთად მოიხსენიებენ იმ კოალიციის, რომელიც ომში მხოლოდ 1944 წლის ზაფხულს ჩაერთო.

ცეცილიენჰოფის გამოფენა ასახავს იმ განწყობას, რასაც ადგილი აქვს ევროპაში – ანტისაბჭოურს, ანტისტალინურს. დასავლურ და აღმოსავლურ შეფასებათა შორის უფსკრულია. დასავლელთა აზრით, სტალინ-ჰიტლერის და არა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა ხელი შეუწყოს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას. ასეთი ახსნა-განმარტება საქმეში ჩახედული ნებისმიერი, სწორად მოაზროვნე ისტორიკოსისთვის აბსურდია, მაგრამ არა ევროპელი და ამერიკელი ისტორიკოსებისთვის. მათთვის მთავარი, ფაქტების დამახინჯება და ისტორიის გადაწერაა, რის შესახებაც წერდა პუტინი თავის სტატიაში: „დიდი გამარჯვების 75 წლისთავი – ისტორიისა და მომავლის წინაშე საერთო პასუხისმგებლობა“, რომელმაც დასავლეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

პუტინი მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების ევროპეიზაციას ახდენს და სტალინ-ჰიტლერის პაქტს, როგორც ომის დაწყების მთავარ ბიძგს, ჩრდილში აქცევსო. სხვას რას იტყოდნენ ისინი, ვინც გასულ წელს, ევროპელ პოლიტიკოსებთან ერთად ქმნიდნენ ევროპარლამენტის რეზოლუციას: **„მომავალი ევროპისთვის ისტორიული აზროვნების შენარჩუნების მნიშვნელობის აუცილებლობის თაობაზე“,** სადაც ნაციონალ-სოციალისტებისა და სტალინის სსრკ-ის პოლიტიკას, როგორც დანაშაულებრივს, ერთ სიბრტყეზე მიუჩენდნენ ადგილს.

ბრიუსელის რეზოლუცია უკანა პლანზე წევს საბჭოეთის გამარჯვებას გერმანულ ფაშიზმზე. ასე და ამგვარად, ნელ-ნელა, თანმიმდევრულად სსრკ-ის როლი ფაშიზმის დამარცხებაში ფერმკრთალდება. 10 წლის შემდეგ თაობას, რომელიც მოდის, სინამდვილის ისეთი ცოდნა ექნება, როგორც ცეცილიენჰოფის გამოფენის დამთვალიერებლებს. მათ ეცოდინებათ, რომ ომი ორმა ტირანმა – სტალინმა და ჰიტლერმა გააჩაღა, ხოლო აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა იხსნა ევროპა და მსოფლიო ყავისფერი ჭირისგან.

**შეგახსენებთ, კოალიციურმა ჯარებმა ფართომასშტაბიანი შეტევა 1944 წლის 6 ივნისს დაიწყეს და ისე „წარმატებით“ იომეს, რომ 20000 მათგანი ალყაში მოექცა და ტყვედ ჩაბარდა. ფაშისტებმა დატყვევებული ამერიკელი, კანადელი და ინგლისელი ჯარისკაცები, 17 ივნისს პარიზის ქუჩებში შერცხვენილები ჩაატარეს, სხვათა შორის, პარიზელთა ლანძღვა-გინების ფონზე.**

**სწორედ პარიზის „დემონსტრაციამ“ და თავისი მოკავშირეებისთვის საბჭოთა ძლიერების დამტკიცების სურვილმა უკარნახა სტალინს ფაშიზმზე გამარჯვების პარადის ჩატარების დროს, პარიზული „დემონსტრაციის“ გამეორების აუცილებლობა – უფრო დიდი, ზომისა და მნიშვნელობის გამოვლინებით. ამ ოპერაციას „დიდი ვალსი“ დაერქვა და მისი შესრულება ბერიას დაევალა. ღონისძიება სრულიად საიდუმლოდ მზადდებოდა ერთი წლის განმავლობაში. სახელწოდება მას სტალინის საამებლად ბერიამ შეურჩია.**

ბელადს უყვარდა ამერიკული ფილმი „დიდი ვალსი“, მიძღვნილი შტრაუსისადმი, რომელსაც ის ხშირად უყურებდა.

ისტორიული მასალების მიხედვით, სტალინი საოპერო, საბალეტო, თეატრალური ხელოვნების დიდი თავყვანისმცემელი და ქომაგი იყო. ის ხშირად სტუმრობდა დიდი თეატრის სპექტაკლებს, ყოველგვარი ხმაურისა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, იკავებდა ადგილს ლოჟაში, ისე, რომ მაყურებელმა და სპექტაკლის მონაწილეებმა არც კი იცოდნენ მისი იქ ყოფნა.

„დიდ ვალსში“ მონაწილეობისთვის 60000 გერმანელი ტყვე შეირჩა. ყველა მათგანი ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო, კარგად გამოკვებილი და ჩაცმული. დაჩაჩანაკებული, ხეიბარი ტყვე უდავოდ გამოიწვევდა გორკის პროსპექტზე და წითელ მოედანზე შეკრებილი ხალხის სიბრალულს.

პროსპექტზე მოდიოდა 60000-იანი ფაშისტური არმია, რომელიც 4 წლის წინათ სსრკ-ის განადგურებით, სამარადისო გადაშენებით ემუქრებოდა. მათ მოჰყვებოდა წყლით სავსე ავზებიანი სარწყავი ავტომობილები, რომლებიც ფაშისტური ჭირის მატარებელი ტყვეების ჩავლილ გამზირს საგულდაგულოდ რეცხდა.

„დიდ ვალსს“ შეეძლო ორი არასასიამოვნო წრეს გადასულობის გამოწვევაც. პირველი – ტყვეთა ამბოხი წითელ მოედანზე, მავზოლეუმის წინ და მეორე, აღშფოთებული მოსკოველების მიერ ტყვეების ცემა-ტყეპა გორკის პროსპექტზე. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო 60000, თუნდაც შეუიარაღებული გერმანელი ფაშისტის ამბოხი ანდა მილიონობით მოსკოველის მიერ გერმანელებზე შურისძიება?

მაგრამ ბერიას მიერ ისე ოსტატურად და პროფესიონალურად იყო ყველაფერი ორგანიზებული, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა.

„დიდმა ვალსმა“ ისე, როგორც სამხედრო პარადმა მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოეთის ძლევამოსილება, მისი გამარჯვება ფაშიზმზე, რაც, სამწუხაროდ, დასავლელმა ისტორიკოსებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. არადა, სინამდვილე ისაა, რაც „დიდმა ვალსმა“ ასახა.

სინამდვილე ის არის, რომ საბჭოთა კავშირმა უმძიმეს ომში, მილიონობით ადამიანის მსხვერპლით შეძლო შეუძლებელი. ამ საქმეში პატარა საქართველომაც შეიტანა თავისი წვლილი – 650000 საქართველოს მცხოვრები იღებდა მონაწილეობას დიდ სამამულო ომში. მათგან მხოლოდ ნახევარი დაუბრუნდა საკუთარ ბუდეს!

საბჭოთა საქართველოდან დიდ სამამულო ომში მონაწილეთა რაოდენობა ოდნავ ჩამოუვარდება ფაშიზმის „დამმარცხებელი“ აშშ-ის არმიის რაოდენობას. საქართველოსთვის მეორე მსოფლიო ომი სამამულო ომი იყო, რომელშიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იღებდნენ მონაწილეობას ამ ქვეყნის შვილები და რაოდენ შეურაცხმყოფელია მათთვის, მათი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ზოგიერთი ქართველი „პოლიტიკოსის“ სრულიად აბსურდული განცხადება – ქართველები სხვის ომში ძალით გარეკესო.

რა გაეწყობა, დასავლურ პროპაგანდას აყოლილი ქართული პოლიტიკა, მით უმეტეს, დასავლელთა მიერ გამოზრდილი არასამთავრობო სექტორი და მედია ანტისაბჭოთა, ანტირუსული, ანტიქართული პროპაგანდის გავრცელებაში ითბობენ ხელს. მათი მიზანიც ისეთია, როგორიც დასავლეთის – სინამდვილის შეურაცხყოფა, ახალი ისტორიის დაწერა, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს რუს ლიბერალებს, განსაკუთრებით ლიბერალურად მოაზროვნე ისტორიკოსებს.

ომის გამჩაღებელი თუ არა, ხელის შემწყობი და პაციფისტის პოზაში ჩამდგარი ინგლისი, საფრანგეთი, სხვა ქვეყნები, ივიწყებენ სინამდვილეს და თითს სტალინისკენ იშვერენ, მაშინ, როდესაც სინამდვილე ასეთია: „ჩვენ, რომ 1939 წელს დამარცხება ვერ ვიგემეთ, იმით აიხსნება, რომ საფრანგეთ-ინგლისის 100-მა დივიზიამ პოლონეთის კამპანიის დროს არაფერი იღონა 25 გერმანული დივიზიის წინააღმდეგ“.

„დასავლეთის სახელმწიფოებს რომ გადაეკვეთათ გერმანიის საზღვარი, მეორე მსოფლიო ომს ადგილი არ ექნებოდა.“ – ეს სიტყვები გერმანელ გენერალს ალფრედ იოდლს ეკუთვნის, რომელიც მან 1946 წლის ნიურნბერგის პროცესზე განაცხადა.



ვგონებ, კომენტარი ზედმეტია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◎ პოლიტიკური რინგი




# ვაი, ასეთ „ფორმულასა“

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა წლეულს დეკემბერში უნდა გამართულიყო, მაგრამ აღმასკომის თითქმის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით (მხოლოდ სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა შეიკავა თავი) იგი 11 სექტემბერს ჩაინიშნა.**

იმავე საღამოს გიორგი თარგამაძის „ფორმულაში“ სეოკ-ის ყოფილი თავკაცი გია ნაცვლიშვილი, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე და სახელოვანი ძიუდოისტი ავთანდილ ჭრიკიშვილი შეიკრიბნენ, რათა ქართული ოლიმპიური მოძრაობის ლიდერები წესდების დარღვევით ფორუმის ვადის გადმოწევასა და „ქართული ოცნების“ მაამებელ პოლიტიკურ კეკლუცობაში დაედანაშაულებინათ.

ვინაიდან პასუხის გამცემი არავინ ჰყავდათ, განზრახვის სისრულეში მოყვანა მათ არ გასჭირვებიათ, თუმცა, ცალ კარში თამაშის მიუხედავად, რამდენიმე საინტერესო ნიუანსი მაინც გამოიკვეთა.

კერძოდ, ტრადიციისამებრ, სეოკ-ის ყრილობას თურმე წინ ჯერ ოლიმპიური თამაშები უძღვის, შემდეგ — სპორტის ცალკეულ სახეობათა ფედერაციების ყრილობები, სადაც განვლილ ოლიმპიადაზე შესაბამის სახეობათა წარმომადგენლების ნაჩვენებ შედეგებზე მსჯელობენ, და ბოლოს — საპარლამენტო არჩევნები.

აი, სწორედ ამ ციკლის უწყვეტი ჯაჭვის რღვევა გამოიწვია კორონავირუსის პანდემიამ, რის გამოც სეოკ-მა სავსებით ლოგიკური ნაბიჯი გადადგა. ვთქვათ, პანდემია უსასრულოდ გაიწელა და ტოკიომ ფორუმს კარგახანს ველარ უმასპინძლა — ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წესდებით გათვალისწინებულ ვადებში ყრილობის მოწვევაზე უარი როდემდე უნდა თქვას?!

რაც შეეხება პოლიტიკურ წიაღსვლებს: მოგეხსენებათ, გია ნაცვლიშვილი სეოკ-ს ნაციონალთა ზეობისას უძღვებოდა, გიორგი ასანიძე კი იმავე რეჟიმის ერთ-ერთი სახე ბრძანდებოდა და იქამდე დაეშვა, სპორტის აკადემიის ყოფნა-არყოფნის დღეებში უტიფრად განაცხადა — ფიზკულტურის ინსტიტუტს ჩემთვის არაფერი მოუციაო. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ მათ გადაცემის ავტორის აწეული „სატოპკეებით“ ღირსეულად ისარგებლეს და როგორც მმართველ პარტიას, ისე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვს, რომელიც კენჭს მესამედ იყრის, მომავალ არჩევნებში უაპელაციოდ გამოუყვანეს წირვა.

კი მაგრამ, მესამე ხმამ რაღა ჰქმნაო? — იკითხავთ, ალბათ. ჯერაც მოქმედმა ტატამის დიდოსტატმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა ალალად განაცხადა: 19 წლის ვიყავი, როცა მე და ნუგზარ ტატალაშვილს სეოკ-ის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გია ნაცვლიშვილმა 4 ცალი კიმონო გვიყიდა, რის გამოც სექტემბერში მის კანდიდატურას დავუჭერ მხარსო.

სიკეთის დამახსოვრება, იცოცხლეთ, პიროვნებაზე დადებითად მეტყველებს, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ მისთვის კარგი მას შემდეგ აღარავის გაუკეთებია?

სხვათა შორის, ისიც ითქვა, რომ, თურმე, სეოკ-ის წესდების ახალი მუხლის მიხედვით, მის ყრილობაში მონაწილეობა ეკრძალებათ იმ პირებს, ვინც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წამყვან სტრუქტურებში არ მოღვაწეობდნენ, ანუ მთელ რიგ სახელოვან სპორტსმენებს.

თუ ეს ასეა, დაგვეთანხმებით, სასწრაფოდ გამოსასწორებელია, რადგან პოლიტიკური ვირეშმაკობები და ორმაგი სტანდარტები, უპირველესად, თვით ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას გააქანებს უფსკრულისკენ.

**გია პლატონიშვილი**

◎ ოკეანის გაღმა

# ენდეთ გოგას!




**როგორც მოგეხსენებათ, კორონავირუსმა არსებითი კორექტივები ნბა-ს კალენდარშიც შეიტანა. შედეგად, მისი მონაწილენი ორლანდოში შეიკრიბნენ და ვიდრე პანდემია მძვინვარებს, კაცმა არ იცის, კიდევ რას უმზადებთ განგება.**

ბუნებრივია, რომ ჩვენ ყველაზე უფრო ახალგამოჯანმრთელებულ **გოგა ბითაძისა** და მისი „ინდიანას“ შედეგები გვაინტერესებს, რომელიც ცალი ფეხით უკვე პლეი-ოფშია და მისი მწვრთნელი ნეით მაკმილანი მოუთმენლად ელის მწყობრში გუნდის ტრავმირებული ლიდერის დომანტას საბონისის დაბრუნებას.

ვიდრე ლიეტუველი ფენომენი მკურნალობს, ჩვენს თანამემამულეს ძირითად შემადგენლობაში დაწინაურების შანსი მიეცა, თუმცა, ვინაიდან თავკაცი ნდობას მხოლოდ რამდენიმე წუთით უცხადებს, შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენს.

რაც შეეხება უკანასკნელ კვირაში გამართულ სამ შეხვედრას, „პეისერზმა“ ფავორიტ „ლეიკერსს“ მოუგო, ხოლო „ფინიქსთან“ და „მაიამისთან“ დამარცხდა, „ჯვაროსნის“ პირადი მონაგარი კი 12 ქულაში გამოისახა (შესაბამისად — 7, 3 და 2 ქულა). აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში მან კალიფორნიელთა მეგავარსკვლავ ლებრონ ჯეიმსს დაუფარა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# კონტინენტი განახევრდა

**მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ პანდემიის გამო კონტინენტის პოპულარული საკლუბო ტურნირების დასკვნითი რაუნდები შეკვეცილი სისტემით გაიმართებოდა, დღის წესრიგში მასპინძლობის საკითხი დადგა.**

ვინაიდან ჩემპიონთა ლიგის ბოლო აკორდების ორგანიზება უეფამ პორტუგალიას დააკისრა, რომელსაც წარმომადგენელი აღარ დარჩა და ეს ქვეყანა ამჯერად საფეხბურთო ნეიტრალიტეტის სტატუსით სარგებლობს, ევროპა ლიგაში გარკვეული უპირატესობა ლევერკუზენის „ბაიერს“ მიენიჭა, რადგან საუკეთესოთა ოქტეტი სწორედ გერმანიაში შეიკრიბა.

უკვე მერამდენედ დადასტურდა, რომ საკუთარი მოედნის ფაქტორი არანაირად არ წარმოადგენს წარმატების გარანტიას. დიახ, „სერია — ა“-ს მეორე პრიზიორმა მილანის „ინტერმა“ მატჩის დასაწყისშივე მიაყენა „ფარმაცევტებს“ მგრძნობიარე ჩხვლეტები (ბარელა, ლუკაკუ) და უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე — 2:1.

სამაგიეროდ, მეტისმეტად გაუჭირდა ფავორიტობის გამართლება „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელმაც „კოპენჰაგენის“ ვიკინგური წინააღმდეგობა მხოლოდ დამატებით დროში გატეხა (ფერნანდეში) — 1:0.

დრამატულად განვითარდა მოვლენები ნისლიანი ალბიონის მეორე დელეგატ „ვულვზისა“ და ევროპა ლიგის ხუთგზის(!) გვირგვინოსან „სევილიას“ ბრძოლაში. კერძოდ, კუნძულელებს ძვირად დაუჯდათ შეხვედრის დებიუტშივე პენალტის ვერგატანა, რისთვისაც 87-ე წუთზე დაისაჯნენ — 0:1.




ერთადერთი წყვილი, სადაც ინტრიგა თავიდანვე არ არსებობდა, „შახტარმა“ და „ბაზელმა“ შეადგინეს. მართლაც, უკრაინელებმა მეტოქეს დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარეს — 4:0.

*ასე რომ, ნახევარფინალში ითამაშებენ:* „სევილია“ — „მანჩესტერი“ და „ინტერი“ — „შახტარი“.

**გიორგი შოთაძე**



## ჩინური ჭირის მოსვლამდე ჯორჯ ვაშინგტონსაც გაუჭირდებოდა ჩემი დამარცხება



**„გამოკითხვებში** ჩვენი რეიტინგები ცამდე ასული იყო. ამ ჩინური ჭირის მოსვლამდე ჯორჯ ვაშინგტონსაც კი გაუჭირდებოდა ჩემი დამარცხება. შემდეგ მოხდა ის, რაც ყველა სხვა ქვეყანაში — ვირუსი დაგვატყდა თავზე და ამან, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

RealClearPolitics-ის ინდექსის თანახმად, 31 მარტის მდგომარეობით, აშშ-ის პრეზიდენტის რეიტინგი 47.3%-ს შეადგენდა, ხოლო 11 აგვისტოს მდგომარეობით, რეიტინგი 43%-ს შეადგენს.

## ბრიტანეთის ეკონომიკას „ვერ ქაჩავს“!

**კორონავირუსის** პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგებმა, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა რეცესიამდე მიიყვანა. ეკონომიკა წლის პირველ სამ თვესთან შედარებით 20.4%-ით შემცირდა. ბოლოს ასეთი მასშტაბური გამოწვევის წინაშე ბრიტანეთის ეკონომიკა 2009 წელს იდგა. ეროვნული სტატისტიკის ოფისის განცხადებით, კოლაფსი გამოწვეულია მაღაზიების, სასტუმროების, რესტორნების, სკოლებისა და ავტომანქანის შემკეთებელი ცენტრების ერთიანი დახურვით.

როგორც იუწყებიან, განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მომსახურების სექტორი აღმოჩნდა, რომელიც ბრიტანეთის ეკონომიკის 4/5-ს შეადგენს. მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა სტუმართმასპინძლობის სექტორიც. ქარხნების დახურვამ კი უკიდურესად შეამცირა ავტომანქანების წარმოება. დიდი ბრიტანეთის კანცლერის რიში სანაკის განცხადებით, ეკონომიკის ვარდნა მომავალ თვეებში კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილის დაკარგვას გამოიწვევს.

# იქნებ კარგია, შე მამაძაღლო!

## დასავლელი მეცნიერები რუსულ ვაქცინას მიწასთან ასწორებენ!

**რუსეთმა განაცხადა, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინა უკვე მზად აქვს და რომ შედეგს 2 თვეზე ნაკლებ დროში ადამიანებზე გამოცდის საფუძველზე მიაღწიეს. თუმცა, ამ განცხადებამ მეცნიერები მსოფლიოს მასშტაბით შეაშფოთა, ერთი მხრივ, დროის ასეთ მოკლე პერიოდში მისი შემუშავების და მეორე მხრივ, იმის გამოც, რომ არ არსებობს ვაქცინის გამოცდის სრული მონაცემები. მათ მიაჩნიათ, რომ სრული მონაცემების გაცნობის გარეშე, ძალიან ძნელია ამ ვაქცინის ნდობა.**

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის გლობალურ რბოლაში რუსეთი ცდილობს, პირველი იყოს. თუმცა, ახლა ქვეყანამ ვაქცინის ფართომასშტაბიანი გამოცდა უნდა ჩაატაროს, რათა არსებობდეს რეალური მონაცემები იმის დასამტკიცებლად, რომ ის მართლაც ეფექტურად მოქმედებს. იმუნოლოგებისა და ინფექციონისტების აზრით, ახლა, ეს იქნება „წინდაუხედავი“ ნაბიჯი.

ვარვიკის ბიზნეს სკოლის მედიკამენტების სპეციალისტი აიფერ ალი ამბობს, რომ ვაქცინის ასეთი სწრაფი შემუშავება ნიშნავს იმას, რომ ვაქცინის შესაძლო გვერდითი მოვლენები, დიდი ალბათობით, არაა შესწავლილი. ასეთი გვერდითი ეფექტები, შეიძლება იყოს ცოტა, თუმცა ძალიან სერიოზული, ამბობს ექსპერტი.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თქვა, რომ ვაქცინა მოსკოვში, გამალეიას სახელობის იმუნოლოგიის ინსტიტუტში შექმნეს და ის უსაფრთხოა. მეტიც, პუტინმა თქვა, რომ ვაქცინა მის ქალიშვილსაც გაუკეთეს.

**„ვიცი, რომ ის საკმაოდ ეფექტურად მუშაობს, ძლიერ იმუნიტეტს აყალიბებს და ვიმეორებ, მან (ვაქცინამ) ყველა საჭირო შემოწმება გაიარა“,** — თქვა პუტინმა. ფრანსუა ბალუქსი, ექსპერტი ლონდონის გენეტიკის ინსტიტუტში, ამბობს, რომ ეს არის „უგუნური და სულელური გადაწყვეტილება“.

**„მასობრივი აცრები ვაქცინით, რომელსაც საკმარისი ტესტირება არ გაუვლია, არის არაეთიკური“, ამბობს ის. „ნებისმიერი პრობლემა, რომელიც რუსულ ვაქცინას შეექმნება, იქნება კატასტროფა ორი მიმართულებით: ხალხის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზეგავლენა და მომავალში, ვაქცინებისადმი მიმღებლობის ნაკლებობა საზოგადოებაში“,** თქვა ბრიტანელმა ექსპერტმა.

ამ აზრს ეთანხმება იმუნოლოგი და პროფესორი „ლონდონის იმპერიული კოლეჯიდან“ დენი ალტმანი. ის ამბობს, რომ ნებისმიერი ვაქცინის მასობრივი გამოცდა არის უდიდესი ზიანის მომტანი იმ შემთხვევაში, თუ მისი უსაფრთხოობისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

სანამ რუსეთი გამარჯვებას ზეიმობს და ამბობს, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინა მზად აქვს, სხვა ქვეყნებიც არ აჩერებენ ვაქცინაზე მუშაობას. თითოეული მათგანი ფართომასშტაბიან ცდებს ატარებს ადამიანებზე და ათობით ათასი მოხალისე მონაწილე ჰყავს.

რამდენიმე მათგანი, მათ შორის „მოდერნა“, „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“, ამბობენ, რომ წლის ბოლოს ეცოდინებათ, არის თუ არა ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტური. ყველა მათგანს მოუწევს, რომ გამოცდების შედეგები და ყველა მონაცემი გამოაქვეყნოს და მარეგულირებლებს ჩააბაროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, სადაც ამ ვაქცინის აპრობაციის სურვილი ექნებათ. მხოლოდ ამ მონაცემების შესწავლისა და ვაქცინის უსაფრთხოებაში დარწმუნების შემდეგ გახდება ცნობილი, მიიღებს თუ არა რომელიმე ვაქცინა ლიცენზიას.

რუსულმა ვაქცინამ ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროსგან თანხმობა მანამდე მიიღო, ვიდრე ის ათასობით ადამიანზე გამოიცდებოდა, როგორც წესი, ამას მესამე ფაზა ჰქვია და უმნიშვნელოვანესი ეტაპია ვაქცინის გამოცდაში. მესამე ფაზის გავლის გარეშე ვაქცინა ლიცენზიას ვერ იღებს. პიტერ კრემსნერი გერმანელი ექსპერტია, რომელიც ვაქცინების კლინიკურ გამოცდებზე მუშაობს. ის ამბობს, რომ რუსეთის მხრიდან ეს იყო „უგუნური“ ნაბიჯი.

**„როგორც წესი, საჭიროა ხალხის დიდი რაოდენობა, რათა ტესტირება ჩატარდეს, სანამ ვაქცინას მიიღებ. ვფიქრობ უგუნურებაა ეს გააკეთო, თუ უამრავ ადამიანზე ის უკვე გამოცდილი არაა“,** — ამბობს ექსპერტი.

ექსპერტები ამბობენ, რომ **არ არსებობს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა ვაქცინა, არის თუ არა ის უსაფრთხო, როგორია იმუნური სისტემის პასუხი მასზე და შეუძლია თუ არა ამ ვაქცინას კოვიდ-19-ის ინფექციის პრევენცია. ამ კითხვებზე პასუხის გარეშე ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები და ხალხი, ფაქტობრივად, სიბნელეში არიან, ამბობენ მეცნიერები.**

**„ამერიკის ხმა“**

**საქმე №1/18-2020**

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 11 აგვისტო 2020 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი“**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **შპს „ფერსტ“, ირაკლი ღლონტი**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულებების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2019 წლის 27 დეკემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე შპს „ფერსტ”-ისა და ირაკლი ღლონტის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2017 წლის 22 თებერვალს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და შპს ,,ფერსტ”-ს შორის დაიდო №021795529 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ,,ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 4500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 48 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

2017 წლის 22 ივლისს შპს ,,ნოვა კრედიტსა” და ირაკლი ღლონტს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა შპს ,,ფერსტ”-ისა და ირაკლი ღლონტის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ირაკლი ღლონტს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ირაკლი ღლონტს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ირაკლი ღლონტი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ირაკლი ღლონტს (პირადი №33031001434) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2. ირაკლი ღლონტს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე, ირაკლი ღლონტს მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ირაკლი ღლონტს ეცნობოს, რომ 2020 წლის 28 სექტემბერს 12:00 საათზე შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს ,,ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით შპს ,,ფერსტ”-ისა და ირაკლი ღლონტის მიმართ.

5. ირაკლი ღლონტს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 115/ს
12/08/2020

115-21-4-202008122044

## 2020-2021 წლებისათვის ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/ და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა დაფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის N21 დადგენილების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისთვის აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს N1475 განკარგულების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის შესაბამისად.
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით.
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით.
5. დაევალოს ლიცენზირების დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინფორმაციის გამოქვეყნება ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.
6. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს.
7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

---

**დანართი №1**

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2020 წლის "...................."
№115/ბრძანებით

### ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი N1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანო | | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ N150. TEL: 032 2439503 |
| 3 | ელ-ფოსტა | info@nea.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისთვის | ა)ლიცენზიის მფლობელმა მოპოვება განახორციელოს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-12, მე-20, სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტაძრისის ყოფილი სატყეო უბნის მე-20 კვარტალებზე.<br>ბ)მოსაპოვებელი რესურსის ოდენობად ყოველწლიურად განისაზღვროს 102, 3 ტონა.<br>გ)ლიცენზიანტმა მოპოვება აწარმოოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ სათესლე ნაკვეთის მასზე დამაგრებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.<br>დ)ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს მასზე დამაგრებული სათესლე ნაკვეთის ფიზიკური დაცვა.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა სოჭის გირჩი დამზადება აწარმოოს, სათესლე ნაკვეთზე და დამზადებისთვის განსაზღვრულ ვადებში (სექტემბერ-ოქტომბერი), ხოლო დამზადებული სოჭის გირჩის დამზადების ადგილიდან ტრანსპორტირება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით (რომელშიც ასახული იქნება სოჭის გირჩის დამზადების ადგილმდებარეობა, სატყეო, კვარტალი, სატაქსაციო უბანი, რაოდენობა, კგ.).<br>ვ)ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს გირჩის კრეფის დროს ხეების დაზიანებისგან დაცვა.<br>ზ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სოჭის გირჩის მოპოვება რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-12, მე-20, სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტაძრისის ყოფილი სატყეო უბნის მე-20 კვარტალებზე, 2009 წელს დადგენილი მოცულობების შესაბამისად |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-12, მე-20, სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტაძრისის ყოფილი სატყეო უბნის მე-20 კვარტალები |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 300 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 30 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10%) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 30 100 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაიწყება 2020 წლის 13 აგვისტოს 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 10 სექტემბრის 18:00 საათზე. |
| 12 | აუქციონის დასწყებისა და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი დაიწყება 2020 წლის 11 სექტემბერს 12:00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 11 სექტემბრის 18:00 საათზე. |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. |



# რეკვიემი

# ზღაპარი სიყვარულისა,

## ანუ სიზმარი ტრაგედიისა

**არც ერთი იყო ზღაპარი და არც მეორე სიზმარი.**

**„ზღაპარში“ წაკითხულიც და „სიზმარში“ ნანახიც ცხადში მომხდარი მწარე რეალობაა.**

**ვაი რა დილა გათენდა 2019 წლის 31 ოქტომბერს, ვაი რა დილა გათენდა 2 ნოემბერს...**

დიღომში ბოკონეზზე შემდგარი 14-სართულიანი სახლის მე-10 სართულზე გლოვის ზარმა ჩამოჰკრა და ორი ულმობელი სიკვდილი დადგა — მამა-შვილმა ნოდარ და ლაშა ჯაველიძეებმა დატოვეს ცოდვა-მადლით გაჯერებული წუთისოფელი. არა, უბედური შემთხვევა არ ყოფილა, ისინი ბიოლოგიური სიკვდილით აღესრულნენ. მძიმე ავადმყოფობით ჯერ მამა გარდაიცვალა და ერთი დღის შემდეგ — შვილი, რომელიც მამასთან მისასვლელ გზას „ერთი ნაბიჯით ზომავდა“. თქვა კიდეც: „ეს დროის ფაქტორიაო“. ზუსტად ისე მოხდა, როგორც გათვალა. და... იქ, სადაც იყო ერთი საფლავი, გაჩნდა საფლავის მეორე ბორცვიც...

ეჰ, რას წარმოიდგენდი ჩემო ნოდარ, მრავალი წლის წინათ შენ მიერ დაწერილი პოემის „გაქრილი გულის“ სტრიქონები შენვე მოგეძღვნებოდა.

ეს ტრაგიკული და გრძელი ამბავია და საუბარს წვრილმანების მოხმობით არ ვაპირებ...

ჩემთვის უმძიმეს დღეებში თვალწინ ჩამიარა განვლილი ცხოვრების ყოველმა დღემ, იყო ჟამი სიცოცხლისა და დადგა ჟამი სიკვდილისა...

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

50 წლის წინათ, როცა რედაქციაში შენთან სამუშაოდ მოვედი 20 წლის გოგო, ბევრი რამ მასწავლე, გამზარდე და ჟურნალისტი დამარქვი. ვიარეთ, ვიარეთ დაუსრულებლად. ისე ვიმოგზაურეთ ერთად ამ სამყაროში, რომ ორთავემ დავიმკვიდრეთ ადგილი ქართულ ჟურნალისტიკაში. ამიტომ უსაზღვროდ მადლიერი და მადლობელი ვარ შენი...

ერთხელ შენ მცხეთაში დამპატიჟე. უარი არ მითქვამს, მატარებელში უხერხულობა რომ გამეფანტა, ლექსების კითხვა დავიწყე. „დანამულ აღმართს მივყვებოდით, ვეძებდით იას“... მოულოდნელად შემაჩერე, ვისთვის ეძებდი იებსო? ვერაფერი გითხარი, უბრალოდ, გავწითლდი, შემდეგ სვეტიცხოველი მოვილოცეთ. ძალიან, ძალიან ლამაზი იაფფასიანი ჯვარი მიყიდე და უკან დავბრუნდით. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან შემოხვედი ოთახში, ქაღალდის ფურცელი მომაწოდე და გაბრუნდი. რა თქმა უნდა, სწრაფად წავიკითხე და არც გამკვირვებია. მასში შენი ლამაზი სული და კაცისთვის იმდენად უჩვეულო რომანტიზმი იყო ჩაქსოვილი, რომ გამიკვირდა კიდეც. ეს მარტო ქალებს თუ შეუძლიათ, მე ის დღემდე შენახული მაქვს, როგორც საკვირველი ქალაღაია?

ახლა რატომ გამახსენდა ყველაფერი, დაფლეთილი გულის ასე მოსაკლავად? იმიტომ, რომ მეგონა, მთელ შენს შემოქმედებას კარგად ვიცნობდი, რამაც ჩემს თვალწინ ჩაიარა, მაგრამ ვცდებოდი. ამას წინათ შენს არქივში ორი საქაღალდე აღმოვაჩინე, გაყვითლებული, დაძველებული, დროს თავისი კვალი დაუმჩნევია. სწრაფად გავხსენი საქაღალდეები და აღმოვაჩინე შენი სტუდენტობის წლებში გამოუქვეყნებელი წერილები, ნოველები, პოემები, პიესები. ერთი ნოველა სათაურით „ბედნიერი ვარ თუ არა მე“, და პოემა „გაქრილი გული“ სწრაფად წავიკითხე და მივხვდი, რომ თურმე არ გიცნობდი.

ორივე ნაწარმოები მაღალმხატვრულია. როგორ შეეძლო სრულიად ახალგაზრდა კაცს, ასე ოსტატურად გადმოეცა ის ფაქიზი გრძნობები, რომლებიც მარგალიტის მძივებად ასხმულ სტრიქონებში იკითხება?!

მე არ ვიცი, ვის მიუძღვენი, მაგრამ ის კი ვიცი, სიცოცხლეში რომ მეკითხა, უეჭველად მიპასუხებდი. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც მე მაჩუქე, რაც მე მითხარი. აი, იმ დღეს ქაღალდის ერთი ფურცელი უსიტყვოდ რომ დამიტოვე: „არც ჭექა იყო და არც გრიგალი, არც თქარათქური ველური რაშის, ანგელოზივით ნატიფი ქალი უხმოდ შემოდი ჩემს ცხოვრებაში“... და „მწამს, ზღაპარი ცხადი ყოფილა“...



ამიტომაც გამოვიტანე ამ წერილის სათაურში „ზღაპარი სიყვარულისა“... შემდეგ იყო უბედნიერესი წლები, რომლებზეც ტომები დაიწერება, მაგრამ ახლა ჩემს მდგომარეობაში მყოფს მხოლოდ იმის თქმა ძალმიძს, რომ ბედნიერებაც დამოკლეს მახვილივით ყოფილა, შენი სახელოვანი ცხოვრება მთლიანად შენს ქვეყანას და ხალხს რომ მიუძღვენი, სამუდამოდ განადგურდა და დაინგრა. იმ ძნელბედობის ჟამს, როცა შენი კრიტიკული წერილები და პუბლიკაციები იბეჭდებოდა წამყვან გამოცემებში, ყველაფერი ნადგურდებოდა, ირბეოდა გამომცემლობები, რედაქციები და არც შენ „დავიწყებიხართ“. საბედისწერო სტრესის შედეგად დაკარგე ორივე თვალის ჩინი და სამუდამოდ საწოლს მიეჯაჭვე. სწორედ მაშინ მიგვატოვა ყველამ, მაშინ დაივიწყეს შენი 50-წლიანი სამაგალითო მოღვაწეობა, როცა თანადგომა ყველაზე მეტად გჭირდებოდა. „რისთვის, რისთვისო“, სასოწარკვეთილი იმეორებდი და სრულიად დაუფასებელი წახვედი ამ ქვეყნიდან ძალად დაბრმავებული...

ბედნიერების დაუვიწყარი წლები იყო ჩვენი ცხოვრების ნახევარზე მეტი. როცა ჩვენი დიდი ოჯახის განუყოფელი წევრები: ნოდარი, მერი, პაატა, ლაშა და და აღტაცებით გვილოცავდა ორივეს (მას ხომ გამორჩეულად უყვარდა ეს თარიღი). ასე გრძელდებოდა შარშანდლამდე. ახლა სიტყვები არ მყოფნის... მხოლოდ ამას ვეტყვი: „ნეტავ არასოდეს დაბადებულიყავი ჩემი სულის, გულის და სიცოცხლის მთლიანო ნაწილო!“

**„ჩემს „მოლოცვაში“ სული მთლად იწვის,**
**ლამის ბწკარებიც ცრემლით დავალბო,**
**სხვამ თუ არ იცის, შენ მაინც იცი,**
**ჩემო გულო და ჩემო კალამო“.**

მოგონებები და ფიქრები ერთმანეთში ირევა. ახლა, ამ წუთებში დაჩოქილი ვარ იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინათ ჩემთვის ორი წმინდა მიცვალებული მესვენა. საწოლებისა და სიწმინდეების გარემოცვაში არც პატარა კანდელი ქრება. საშინელი, გაყინული სიჩუმეა. ამ მდგომარეობიდან მხოლოდ სიკვდილი თუ გიხსნის. ურთიერთგადაჯაჭვულ მამა-შვილს თითქოს ისე სძინავთ, როგორც იმ დღეს: თითქოს ჩემ წინ ორი ლამაზი კუბო დგას, მე მათ ვეჩურჩულები, ვეძახი, მაგრამ გარინდულები არიან. ნუთუ ლაშიკოს დაავიწყდა 14 აგვისტო? აღარ ახსოვს „კანკები“, „ველოსიპედი“, არც მაიაკოვსკის ძეგლიდან ჩამოსრიალება ახსენდება? სკოლა, სტუდენტობა, გალაღებული ყმაწვილკაცობაც დაივიწყა? არა, არა, არ ახსოვს. მას მხოლოდ ის საბედისწერო დღე დაამახსოვრდა, როცა შენს ცხოვრებაში შემოჭრილი დაუჯერებელი ზღაპარი გეგონა. სამწუხაროდ, ყველაფერი დასრულდა ისე, რომ შვილის სიკვდილი არ გაგიგია. ახლა შენი პაატა დაადგა სიკეთის გზას და საკუთარ ოჯახთან ერთად გაუფრთხილდება შენს ლამაზ წარსულს.

მე ეს რეკვიემი შენით შემთხვევით არ დამიწყია. რა უნდა მეთქვა, როგორ მეთქვა იმ საშინელი ტრაგედიის შესახებ, რაც დღემდე საშინელი სიზმარი მგონია. შენ უნდა მითხრა: რა ვქნა, რა გავაკეთო ჩემთვის ამ უმძიმეს წუთებში. ის, რომ 50 წლის განმავლობაში ჩვენი ლაშიკო 14 აგვისტოს, მისი დაბადების დღეს, წელს პირველად აღარ არის ჩვენთან. მზარავს, მტანჯავს იმის გახსენება, რომ ღამის 12 საათზე შემოვარდებომოულონელად ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და განაჩენიც თურქეთში დადგა. ჰოდა, ჩემო ლაშიკო, ჩემო სიცოცხლევ, მეც ყველაფერი აქედან მახსოვს და ჩემთვისაც 14 აგვისტო აღარ არსებობს, თითქმის არც არასოდეს ყოფილა. მე ვნახე შენი ცრემლიანი თვალები, შუბლზე ხელის დადებით რომ მალავდი. მე ვნახე მამაშენის დაუფარავი ქვითინი, რომელმაც არ იცოდა შვილი რომ უკვდებოდა და ეგონა, რომ ის მხოლოდ შეუძლოდ იყო და მალე გამოჯანმრთელდებოდა. მე ვნახე პაატას მხრებზე რომ ეკიდებოდი და შველას ითხოვდი. მე ვნახე თქვენი წარმოუდგენელი ტკივილები, გმინვა, კვნესა და ამიტომ „ეს ჩვენი ბედისწერა, სამივემ ერთად გავიყოთ“. მანადგურებს ბოლო 5 დღე, ერთ დროს უბედნიერეს ოჯახში რომ დადგა. ანუ საშინელი სიზმრის ახდენა რომ დაუჯერებელი ტრაგედიისა. უფლებას ვიტოვებ, თქვენ მაგივრად ვთქვა ის, რაც მარტო მე ვიცოდი და ვნახე. ჩვენ ხომ ერთი ორგანიზმის ნაწილი ვიყავით. მამაშენი, რომელიც მაღლა ღმერთს ევედრებოდა სულ ცოტა ხნით თვალის ჩინის დაბრუნებას, რათა ხილული მისულიყო საკუთარ შვილთან მომაკვდინებელი წყლულების დასაამებლად. **„ხუთ დღეს ისმინა უფალმა, ბრმა შეიწყნარა, მადლია — არ მისცა თვალის სინათლე, შვილი ენახა მკვდარია“,** და როცა ისევ ნისლითა და ბურუსით გათენდა, იმძლავრა და ულმობელმა და ვერაგმა სიკვდილმა ისევ შემოალაჯა, ხოლო მე, **„რას ვიფიქრებდი, თუ ჩვენი სიცოცხლის ძაფები სულ მალე გადაწყდებოდა, შენ კი ჩემო ლაშიკო, ბაჩოს და აჩოს იმ სუდარას ებარებოდი, რომელიც წინასწარ თავად შეიძინე. მოძღვარს კი ევედრებოდი, ერთი ნაბიჯი დამრჩა და წამიყვანე მამასთანო... „მასაც უსმინა უფალმა, ერთი ნაბიჯიც აცალა, დაღლილ სულთმობრძავ კურთხეულს, სიკვდილი რომ არ ენახა“...**

და, როცა დადგა ჟამი სიკვდილისა, მამა-შვილს თითქოს თვით ღმრთისმშობელიც კი დასტიროდა.

თქვენი სიკვდილიც ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, ძლიერი და ტკბილ-მწარე, როგორც თქვენი ამაღლებული ცხოვრება. არც დაკრძალვა ყოფილა ჩვეულებრივი. ის დღე იყო ტრაგიკული და რომანტიკული, პოეტური და სევდიანი. უამრავი ადამიანი მოდიოდა არნახული მწუხარების გასაზიარებლად, ყვავილთა ზღვაში ჩაძირულებს ცრემლებად დაღვრილი ნაკადულები გაგრილებდათ.

მეგონა, რომ აქ დავასრულებდი. დამძიმებული შენს ოთახში შევედი, ლაშიკო, მაგიდაზე შენი ტელეფონი დავინახე და ეს ოხერი გული მაინც არ გასკდა. რატომ დაავიწყდათ, რომ შენთვის გაეტანებინათ. მე ხომ საერთოდ შეშლილი ვიყავი მაშინ. შიშით, ხელის კანკალით ავიღე და გავბედე ჩამერთო. რამდენი ფოტო, ვიდეო, სიმღერა გქონდა ჩაწერილი. ამოჩემებული მუსიკა ფილმიდან „ერთხელ ამერიკაში“ და „ბოლერო“. შეგეძლო, მთელი ღამე გესმინა. გეგონა, რომ მხოლოდ შენ გესმოდა, არადა, მთელ კორპუსს ესმოდა...

ჩემო ლაშიკო! 14 აგვისტოს მოვალ საფლავზე, შენი ხანმოკლე ცხოვრება ხომ ერთი ლამაზი, გაუბედურებული ბიჭის დაუმთავრებელი გედის სიმღერა იყო!

მოგონებები და ფიქრები არ მანებებენ თავს, არ მინდა, აქ გავჩერდე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.

ჩემო ლაშიკო, იმ განვლილ 14 აგვისტოებს გილოცავ, რომელთაც შენ 50-ჯერ შეხვდი...

ახლა ამ ჟრუანტელისმომგვრელ სიჩუმეში შენი მეგობრების „ხორხოცის“ ნაცვლად, მხოლოდ ის სულის შემძვრელი მგალობელთა ლოცვა-გოდება მესმის: **„დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო“, „დიდება მოთმინებასა, შენსა უფალო იესო“...** უბედურებაა, რომ დღევანდელ დღეს ამ „ალსარებით“ მოგმართავ...

ორთავემ ჩათვალეთ, რომ ეს მწარე რეალობა მხოლოდ ზღაპარი და სიზმარი იყო...

ყოველთა ამაოებათა ამაოება...

**მერი დიხამინჯია-ჯაველიძე,**

**ნოდარის მეუღლე, ლაშას დედა.**

სანთელი

# მერაბ ოდიშარია



**ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ქალაქს, შესანიშნავი ინტელიგენტი, არაჩვეულებრივი თვისებების პიროვნება, ნაღდი თბილისელი, საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის მუზეუმის ხელმძღვანელი, მუსიკათმცოდნე მერაბ ოდიშარია გამოაკლდა.**

**მერაბ ოდიშარია დაიბადა 1948 წელს თბილისში, 1956 წელს პიონერფილმმა შემოგვინახა 8 წლის მერაბ ოდიშარიას, ნორჩი კომპოზიტორის ნათლობა მუსიკალურ ხელოვნებასთან — ეს იყო „ჩვენ მეგობრები ვართ“, შემდეგ თბილისის პირველი სკოლა, კონსერვატორია, სადაც სწავლობდა და ამ უმაღლესი სკოლის ახალგაზრდების უცვლელი ლიდერი გახლდათ. უიღბლო აღმოჩნდა მისი პირადი ცხოვრება, რადგან იგი 7 წლის ვაჟთან ბექასთან ერთად დარჩა ცხოვრების პირისპირ და შეიძლება ითქვას, მის აღზრდას მიუძღვნა თავისი ცხოვრება. მერაბ ოდიშარია 70-იანი წლებიდან საქართველოს ტელევიზიაში მოღვაწეობდა, წლების განმავლობაში გახლდათ მუსიკალური გასართობი პროგრამების შემოქმედებითი გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი და არაერთი გადაცემის წამყვანი, ხოლო 1998 წლიდან მეორე არხის გენერალური დირექტორის მოადგილე. უაღრესად თბილმა და მოსიყვარულე ადამიანმა მეგობრობისა და ერთგულების დაუვიწყარი კვალი დაგვიტოვა. ძალიან განიცადა ბოლო წლებში უახლოესი მეგობრების გურამ ლასხიშვილისა და გოგი ქავთარაძის გარდაცვალება. მიუხედავად მძიმე სენისა მაინც პოულობდა სასწაულ ძალას, რათა ბოლომდე დახარჯულიყო მეგობრების გვერდზე დგომითა და დახმარებით.**

**გულითადად ვუსამძიმრებთ მერაბის ვაჟს ბექა ოდიშარიას, მის შესანიშნავ ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ უპატიოსნესი ადამიანის სული.**

**სოსო ცისკარიშვილი, დათო კეზელი, თემურ კაპანაძე, ბიჭი კოჭლავაშვილი, მზია ბექაური, ბიჭი ონაშვილი, მალხაზ ნიქაბაძე, მამუკა დოლიძე, მალხაზ დოლიძე, მიშა ბლაჭიაშვილი, მერაბ ჭიჭოშვილი.**

# გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონი კოჯორში ვარჯიშობს

**თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის წევრები კოჯრის ტერიტორიაზე საბაზისო კურსის დასკვნით ფაზას გადიან.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კურსის ფარგლებში, 15-21 წლის ახალგაზრდები ითვისებენ საბაზისო სალაშქრო - გადაადგილების, დაზვერვისა და შენიღბვის უნარ-ჩვევებს, ასევე ეცნობიან პირველადი სამედიცინო დახმარების წესებს. ტოპოგრაფიის და ტყის პირობებში გადაადგილების შესწავლის შემდეგ, საბაზისო კურსის მონაწილეებმა ერთი დღე მის პრაქტიკაში გამოყენებას დაუთმეს.



ახალგაზრდულ ლეგიონსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის საფუძველზე ეროვნულმა გვარდიამ საბაზისო კურსის მონაწილეებს ახალი სამხედრო ფორმები გადასცა და ლოჯისტიკური საკითხები უზრუნველყო.

სასწავლო კურსი 10 შეხვედრას მოიცავს. აღნიშნულ კურსზე მიღება შესაძლებელია წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე. კურსის ბოლოს გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ახალგაზრდები გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ლეგიონს შეუერთდებიან.

# თელავის წყალმომარაგების გაუმჯობესების სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება

**ქალაქ თელავში წყალმომარაგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად პირველი ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებს წყალმომარაგების კომპანია ოქტომბერში დაასრულებს.**

ამ დროისთვის მიმდინარეობს ქსელის რეაბილიტაცია, ჭაბურღილებისა და მრიცხველების მოწყობა. თელავში წლებია, წყალმომარაგების სისტემა ამორტიზებულია, რის გამოც მოსახლეობას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება.



უკვე შესრულებულ სამუშაოებს წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია ადგილზე გაეცნო.

**„თელავში ამჟამად მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და მოსახლეობის გამრიცხველიანება. დაახლოებით, 4 000-მდე მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს. ასევე, ეწყობა ჭაბურღილები. პირველი ჭაბურღილის მშენებლობა დასრულდა და ამ დროისთვის მიმდინარეობს ტესტირება. შესაბამისად, ამ პროექტების განხორციელების შემდგომ, ჩვენ მივიღებთ გაუმჯობესებულ წყალმომარაგებას თელავის მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში გამოცხადდება ახალი ტენდერი, რომელიც გულისხმობს თელავის წყალმომარაგებას „წინმატიანიდან“ და ასევე, იგეგმება მიმდინარე წელს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ახალი პროექტის დაწყება, რაც თელავის 24-საათიანი წყალმომარაგებისთვის კეთდება“,** — განაცხადა გიგა მანდარიამ.

# აქცია სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით

**ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ყოფილმა თანამშრომლებმა 11-თვიანი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს.**

ამ მოთხოვნით მათ რამდენიმე თვის წინ სასამართლოსაც მიმართეს და კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, კომპანიის მხრიდან იყო დაპირება, რომ რეზერვუარებში არსებულ ნავთობის რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხიდან თანამშრომლების სახელფასო დავალიანებას დაფარავდნენ. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ კომპანიამ ბაზიდან ნავთობის დიდი რაოდენობა უკვე გაიტანა, თუმცა თანაშრომლები კომპანიამ ამჯერადაც მოატყუა და ხელფასი ამ დრომდე არ გადაუხდია.



კომპანიას თანამშრომლების დავალიანება ერთი მილიონი ლარი აქვს!

კომპანიის მენეჯერი გიორგი ჯანიაშვილი აცხადებს, რომ ყოფილ თანამშრომლებს ნავთობის მოპოვების განახლების შემდეგ გადაუხდიან ხელფასებს, თუმცა მოპოვების განახლების დროს ვერ ასახელებს.



# პროდუქტები, რომელიც ყველაზე სწრაფად ძვირდება

**ყავა, კაკაო, შაქარი და ბამბა ის პროდუქტებია, რომელიც მსოფლიო ბირჟებზე ყველაზე სწრაფად ძვირდება.**

გასულ თვეში ლონდონის ბირჟაზე კაკაო — 17%-ით, (ტონა 42488); ყავა -14%-ით, (კილოგრამი 42,47); ხოლო ბამბა და შაქარი 10-19% გაძვირდა.

პანდემიის დაწყებამდე ეს პროდუქცია მსოფლიო ბირჟებზე გაიაფდა. თუმცა ექსპერტების შეფასებით, მოსალოდნელია ფასების ზრდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია არასტაბილური და შესუსტებული დოლარი, რაც იმპორტიორ ქვეყნებისთვის პროდუქტს აძვირებს.

# უაქციზო თამბაქოს და თუთუნის გადამალვის 115 ფაქტი გამოვლინდა

10 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, გატარებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად, უაქციზო სიგარეტის, ჯამში, 7,311 კოლოფი, 6,520 ღერი და 156,410 კგ. თუთუნის შენახვა-გადაზიდვის 115 ფაქტი გამოვლინდა, აქედან ორი შემთხვევა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს საქონელი ჩამოერთვათ.



რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ვაჟა ფშაველას ქ. №48

599 79-76-79;
568 82-09-84

მეგობრული წკეპლიკა




# ილია ჭავჭავაძის გვერდით ადოლფ ჰიტლერი?!

**ტელევიზიამ ადამიანები წიგნის კითხვას, თეატრსა და კინოში სიარულს, რადიოს მოსმენას გადააჩვია. ბევრი არხი ნამდვილად თავისი მრავალფეროვნებით იზიდავს მაყურებელს თუ მსმენელს, რაც უთუოდ კარგია. ერთ-ერთი ასეთი არხი მგონია „პალიტრა ნიუსი", რომელიც ყოველ საათში ერთხელ გადმოსცემს სრულყოფილ ინფორმაციას საშინაოსაც და საგარეოსაც. მაყურებელი სიამოვნებით უყურებს და უსმენს. მაგრამ უთუოდ თვალში საცემია ერთი რამ, რაც თაფლის ქილაში კუპრის გარევას ჰგავს.**

ჩვენი გაზეთი ერთხელ უკვე წერდა, რომ თავისთავად ცუდი არ არის ყოველდღიური რუბრიკა „კალენდარი", თუმცა აშკარად მომაბეზრებელია მარტო უცხოელი ხელოვნების მოღვაწეთა დაბადებაზე ლაპარაკი, საქართველოში რა, „პალიტრა ნიუსის" ღირსი ქართველი ხელოვნების მოღვაწე არავინ დაბადებულა?! ეს ნამდვილად ცხად უხერხულობას ქმნის, ძალიან უხერხულია აგრეთვე ისიც, რომ ეკრანზე გამოჩენილ კულტურის, მეცნიერებისა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მწკრივში დიდი კაცთმოყვარე ილია ჭავჭავაძის გვერდით გამოჭიმულია, ასევე დიდი კაცთმოძულე ადოლფ ჰიტლერი.

ჩვენმა გაზეთმა ერთხელ უკვე მიუთითა არხს ამ უხერხულობის თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ არხის მესვეურები პრესას არ კითხულობენ და ანგარიშს არავის არ უწევენ. არადა, ამ უხერხულობაზე დღეს უკვე ბევრი აღშფოთებული ლაპარაკობს.

საჭირო კია, ჰიტლერის ასეთი, ყოველდღიური რეკლამირება?!

**გურამ წიკლაური**



# პირველყოფილი ხანიდან ანტიკურობამდე

## გრაკლიანის გორის არტეფაქტები

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრაკლიანის გორაზე ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოაჩინა, რომლებიც ძვ. წ II და I ათასწლეულებით თარიღდება. საველე სამუშაოების წარმოებისას პირველ ტერასაზე სამარხებში დიდი რაოდენობით კერამიკული და ლითონის ინვენტარია აღმოჩენილი, ხოლო მეოთხე ტერასაზე უკვე დაიწყო ძვ.წ. X საუკუნის წარწერის სინქრონული ნაგებობის შესწავლა. ამასთან, ახალი აღმოჩენები გაკეთდა ძვ.წ. V-IV საუკუნეების სატაძრო კომპლექსის ნაშთების კვლევისას, სადაც პირველად დაფიქსირდა არტეფაქტები, რომელიც რკინის ნივთების წარმოებასთან არის დაკავშირებული.**



თსუ პროფესორის ვახტანგ ლიჩელის თქმით, „ამ გამოკვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ აქ, პირველად გრაკლიანის გორაზე და საზოგადოდ, ამ ეპოქისათვის საქართველოში საქმე უნდა გვქონდეს სატაძრო წარმოებასთან, ანუ ლითონის წარმოებასთან, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სატაძრო-რელიგიურ მოთხოვნებთან. ეს არის პირველი შემთხვევა, როგორც მოგახსენეთ, და ძალიან დიდი იმედი მაქვს და ყველა ნიშანია იმისა, რომ ამ ძვ.წ. V/IV საუკუნეების ნაგებობის ქვეშ არის უფრო ძველი ძვ.წ. VI – IV საუკუნეების სხვა ნაგებობაც". არქეოლოგიური გათხრები თსუ სტუდენტების ჩართულობით მიმდინარეობს.

გრაკლიანის გორაზე თსუ არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა. გრაკლიანის არქეოლოგიურ ბაზაზე გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 11 კულტურული ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილია არტეფაქტები – პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და სხვა.

თსუ ექსპედიციის მიერ 2015 წელს აღმოჩენილი გრაკლიანის უნიკალური წარწერა მაიამის (აშშ) ლაბორატორიამ ძვ.წ. XI-X საუკუნეებს მიაკუთვნა. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების რიცხვში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე.

# ბათუმში ახალგაზრდული ფორუმი გაიხსნა

**აჭარის მთავრობის პრესცენტრის ინფორმაციით, ბათუმში ახალგაზრდული ფორუმი გაიხსნა. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფორუმი აჭარისა და გურიის რეგიონებს აერთიანებს და მისი მიზანია „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025"-ის განხილვა და ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართვა.**

ასევე, ფორუმის ფარგლებში აჭარის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის წარდგინება გაიმართა.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმის გახსნაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე მონაწილეობდა. თორნიკე რიჟვაძემ ახალგაზრდული პოლიტიკის და სტრატეგიის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ფორუმში მონაწილეებს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მიულოცა.

ღონისძიებას საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენელი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ევროპის საბჭოს, UNICEF საქართველოს, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭოს ხელმძღვანელი დაესწრნენ.

ღონისძიების მიმდინარეობისას ახალგაზრდობის სააგენტოსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის UNFPA-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 15 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0747; ევრო - 3.6272;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0294;
100 რუბლი - 4.2244; თურქული ლირა - 0.4249;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8086;
1000 სომხური დრამი - 6.3335.

**ამინდი 13 აგვისტოსთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +28 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე | +25 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე | +32 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge